

MURSILI II'S "TEN YEAR" AND "EXTENSIVE" ANNALS (CTH 61)

მურსილი II-ს „10-წლიანი“ და „ვრცელი“ ანალები (CTH 61)

MAIA GAMBASHIDZE,

Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Ass. Prof.,
 Chavchavadze str. #1, Tbilisi, Georgia
 Tel.: 599960904, maia.ghambashidze@tsu.ge
 ORCID 0000-0002-1008-2869

Abstract

Here are given the Georgian translations of Mursili II's (ca. 1346-1320 BC) two texts about his own campaigns - "Ten-year" and "Extensive" annals. He was one of the distinguished kings of the Hittite Empire. "Ten-year annals" cover the first ten years of the king's reign, and "extensive annals" - the entire reign. The texts are interesting, both stylistically and contentually, since they tell us the greatest part of the history of the Hittite Empire.

Keywords: Hittites; Hattians; Kaskians; Ancient Near East; Ancient Anatolia; Annals; Mursili II; Hittitology; Assyriology;

მაია ღამბაშიძე,

ისტორიის დოქტ., ივ. ჯავახიშვილის თბილისის
 სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოც. პროფ.,
 საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის ქ. #1
 ტელ.: 599960904, maia.ghambashidze@tsu.ge
 ORCID 0000-0002-1008-2869

აბსტრაქტი

მოცემულია ხეთების სამეფოს ერთ-ერთი გამორჩეული მეფის მურსილი II-ს (დაახლ. ქ. წ. 1346-1320 წწ.) საკუთარი ლაშქრობების შესახებ შედგენილი ორი ტექსტის - „ათწლიანი“ და „ვრცელი“ ანალების ქართული თარგმანები. „ათწლიანი ანალები“ მეფის მოღვაწეობის პირველ ათ წელს მოიცავს, ხოლო „ვრცელი ანალები“ კი – მთელი მმართველობის პერიოდს. ტექსტები საინტერესოა, როგორც სტილისტურად, ასევე შინაარსობრივად, ვინაიდან ისინი ხეთების იპმერიისდროინდელი ისტორიის უდიდეს მონაკვეთს გვამცნობენ.

საკვანძო სიტყვები: ხეთები; ხათები; ქასქები; ანალები; მურსილი II; ძველი ახლო აღმოსავლეთი; ძველი ანატოლია; ხეთოლოგია; ასირიოლოგია;

შესავალი

ა) ისტორია. ხეთების იმპერიის პერიოდის ერთ-ერთი გამორჩეული მეფე *მურსილი II* მეფობდა დაახლ. ქ. წ. 1346-1320 წწ. იგი *სუფილულიუმ I*-ის ვაჟი იყო. მისი სახელი ტექსტებში შემდეგნაირი ფორმით გვხვდება: ¹Muršili, ¹Murš-DINGIR^{LM}, ¹Mur-ši-i-li. დღემდე ამ სახელის ეტიმოლოგია დაუდგენელია¹. სავარაუდებელია, რომ ტახტზე ასვლამდე მას ხურიტული საუფლისწულო სახელი *თაშმი-შარუმა*² ერქვა, რომლის ხეთურ პარალელად ¹Mur-ši-li-pa³ გვხვდება.

მურსილი ტახტზე ძმის, *არნუვანდას* გარდაცვალების შემდეგ ავიდა. მას არ ერგო ადვილი მემკვიდრეობა, ასაკით პატარა უნდა ყოფილიყო და ეს გამოიყენეს ვასალებმა და გარე ქვეყნებმა, აუჯანყდნენ და ომი გამოუცხადეს.

*ქასქების*⁴ თემა მამამისივით ძალიან მნიშვნელოვანი იყო *მურსილისთვის*. *ქასქები* გზას უკეტავდნენ ხეთებს შავ ზღვაზე გასასვლელად. ხეთური წყაროებიდან ისე ჩანს, თითქოს *ქასქები* თავს ესხმიან გამუდმებით *ხეთებს* და *ხათუსას*, თუმცა, იმის გამო, რომ *ქასქური* წყაროები არ გვაქვს, ვერ ვიმსჯელებთ მეორე მხრის დამოკიდებულებაზე - არ არის გამორიცხული, რომ ხეთები თავს ესხმოდნენ *ქასქების* სამოვრებს, უწვავდნენ⁵.

ტახტზე მმართველის, *არნუვანდა II*-ს შეცვლის შემდეგ მოსაზღვრე დაპყრობილმა ქვეყნებმა თავი გაითავისუფლეს. ეს გამოწვეული იყო *სუფილულიუმას* მრავალწლიანი არყოფნით და რელიგიური საქმეების უყურადღებოდ დატოვებით. *არნუვანდა II*-ს გამეფებიდან მალევე გარდაიცვალა რაღაც სნეულებით. *მურსილი* ყოველ წელს აწყობდა დაპყრობით ლაშქრობებს ამ მოსაზღვრე ქვეყნებში, მათ ისევ თავის გავლენის ქვეშ აქცევდა და თან ახალ ქვეყნებსაც იპყრობდა. მისი მმართველობის დროს ხეთის სამეფოს საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

თავის მმართველობის მეორე და მესამე წელს *მურსილიმ* დასავლეთ ანატოლიაში ილაშქრა (KBo 3.4 ii 9 და შმდგ.; KBo 16.1 ii 29 და შმდგ.) და საბოლოოდ დაიმორჩილა. *არცავას* ქვეყანა⁶, რომელიც ჯერ კიდევ მამამისს, *სუფილულიუმას* ჰქონდა დაპყრობილი, მისი სიკვდილის შემდეგ ისევ დამოუკიდებლობა მოიპოვა. *მურსილიმ* *არცავას* ქვეყნის მმართველი *უხაციით*⁷ საბოლოოდ დაამარცხა. *არცავაში* ლაშქრობისას (KBo 3.4 II 15 და შმდგ.) *არცავაში* ლაშქრობისას (KBo 3.4 II 15 და შმდგ.) ლავასას მთაზე *მურსილიმ* უცნაური ბუნებრივი მოვლენა ნახა⁸, რის გამოც შიშისგან გონი დაკარგა.

¹ ა. უნალის აზრით, შესაძლებელია მომდინარეობდეს უცნობ ქალაქ -¹Murša/i-დან, -ili წარმომავლობის სუფიქსის დამატებით (შდრ. KUB 26.43 წინა მხარე 16 ^{URU}Mu-ra-aš-ši-iš): Ünal A., (1993-97), 435-440.

² KUB 7.58 iv 2

³ KBo 15.1 iv 32, KBo 20.143 4 და შმდგ.

⁴ ქასქების შესახებ ვრცლად: დამბაშიძე მ., (2017) 50-73.

⁵ დამბაშიძე მ., (2017) 56.

⁶ Heinhold-Krahmer S., (1977) 84-146; Hawkins J. D. (2009), 73-83; Houwink ten Cate Ph.H.J., (1966) 162-191; Houwink ten Cate Ph.H.J., (1979a) 157-167.

⁷ Cooper M. E., (2012) 81-106.

⁸ სავარაუდოა, რომ ეს იყო კატაკეკაუმენეს ვულკანის ამოფრქვევა, რაც ისტორიულად დამოწმებულია შემდეგ ტექსტში: KBo 3.4 IV 22 და საკულტო ტექსტში KUB 48.100 + IBoT 2.112 + KUB 12.31 + KUB 43.51 და ასლი, CTH 486.

გამარჯვების შემდეგ *მურსილიმ* არცავეს დიდი სამეფო მცირე სამთავროებად დაპყო, რომლებიც *ხეთების* ვასალები იყვნენ და მათთან ხელშეკრულებები დადო, *ხაფალაელ თარგასნალისთან* (CTH 67), *მირა-ქუვალიელ ქუფანთა-ქალთან* (CTH 68) და *სეხას ქვეყნის მეფე მანაფა-თარხუნთასთან* (CTH 69)¹⁰.

ქასქებისა და ჩრ. ანატოლიის წინააღმდეგ წარმოებული ლაშქრობები ჯერ კიდევ *სუფილულიუმამ* დაიწყო¹¹. *ხეთებმა* ამ მხრის დაპყრობა ვერ მოახერხეს, მხოლოდ მის საზღვრებთან აწარმოებდნენ ბრძოლებს. *მურსილიმ ხანთილის* დროიდან *ქასქების* მიერ დაპყრობილი ქალაქი *ნერიქის* გათავისუფლებაც კი ვერ მოახერხა.

სამხრეთ ანატოლიის სახელმწიფოებსა და სირიასთან ურთიერთობა უხდებოდათ *მურსილის* ძმას *ფიასილი/შარი-ქუშუხს*, რომელიც *ქარგამიშის* ყოფილი მეფე იყო. განსაკუთრებით ნათელ სურათს ამ ამბების შესახებ *უგარიტული* ტექსტები გვაძლევს. *მურსილის* მეფობის მე-9 წელს *ფიასილი* გარდაიცვალა და *მურსილიმ ალეპოში სახურუნუვა* გაამეფა. *მურსილის* თანამედროვეები სირიაში იყვნენ: მითანელი *შათივაზა*, უგარიტის მეფეები - *ნიქმადუ II* და *შარი-ქუშუხი*, ქარგამიშელი *შახურუნუვა*, ალეპოელი *თელიფინუ* და *თალმი-შარუმა* და ნუხაშელი *თეთე*. რადგან ასურელმა მეფემ *აშურუბალიტამ მითანის* სამეფო დაიპყრო, *მურსილიმ* თავის მეფობის მეორე წელს *ქარგამიშში* ლაშქარი გააგზავნა *ნუვანცას* მეთაურობით.

ხათუსილი III-ს ტექსტის მიხედვით¹², *მურსილი II*-ს ოთხი მემკვიდრე შვილი ჰყავდა. უფროსი იყო *ხაფასულუფი*, რომელიც მამამისის სიცოცხლეშივე გარდაიცვალა. მომდევნო ვაჟი ცნობილია *მუვათალი II*-ს სახელით. უმცროსი ვაჟი ტახტის მემკვიდრე *ხათუსილი III* იყო. ქალიშვილი *მათანაცი*, მოხსენიებულია *ხათუსილი III*-სა და რამზეს II-ს მიმოწერაში. *მურსილის* გარდაცვალების შესახებ არაფერია ცნობილი.

ერთ-ერთი მთავარი თემა - *მურსილის* მეფობის პერიოდისა - ეს იყო პანდემია, რომელიც - სავარაუდოდ, ეგვიპტელმა ჯარისკაცებმა შემოიტანეს ქვეყანაში *მურსილის* მამის - *სუფილულიუმას* დროს და რომელიც დიდიხანს გაგრძელდა. ჭირი რომ იყო, ამას ადასტურებს როგორც *ეგვიპტური*, ისე *ხეთური* წყაროები¹³.

მურსილის დროს პატივს სცემდნენ უცხოურ ტრადიციებს. მტრის საკულტო ქალაქების დანგრევა არ შეიძლებოდა.¹⁴ იმის მიუხედავად, რომ *მურსილის* მრავალი სამხედრო ოპერაციის ჩატარება უხდებოდა, თავს ვალდებულად თვლიდა, აღესრულებინა საკულტო რიტუალები, რათა მამამისის, *სუფილულიუმას* მიერ „ჩადენილი ცოდვები“ გამოესყიდა.¹⁵ უაღრესად საინტერესოა *მურსილის* ე.წ. „ლოცვები“ სადაც იგი ინანიებს ცოდვებს, როგორც მამამისისას, ისევე თავისას.¹⁶ *მურსილის* დროს პატივს სცემდნენ უცხოურ ტრადიციებს. ღვთაებები ყველაფერს ხედავენ, მათ ყველაფერი იცინან, და არაფერს პატიობენ. მათ შეეძლოთ

⁹ ღამბაშიძე მ., (2012) 67-74.

¹⁰ Beckman G., (1996) 69-81.

¹¹ ღამბაშიძე მ., (2017) 57.

¹² Gambashidze M., (2017), 33-38.

¹³ შავი ჭირის შესახებ დაწვრილებით: Charekishvili, N. (2024). Die Pest im Königreich der Hethiter, HAE XI; ჩარეიშვილი, ნ. (2024).

¹⁴ KUB 19.37 iii 35-38, 41-44; KBo 3.4 + KUB 23.125 iii 11-18; KBo 4.4 iv 17-24.

¹⁵ KUB 24.3 წინა მხარე ii 3 და შმდგ.

¹⁶ ამის შესახებ იხ. ღამბაშიძე მ. (2017-18), 252-257.

დაესაჯათ არა მხოლოდ დანაშაულის ჩამდენი, არამედ მათი ნათესავები და მთელი ქვეყანა. ხეთებმა იცოდნენ, რომ დაისჯებოდნენ, თუ ღმერთების წინაშე თავიანთ მოვალეობებს არ შეასრულებდნენ, *მურსილი II* ცდილობს მისნის მეშვეობით დაადგინოს ჭირის გამომწვევი მიზეზები. მტრის საკულტო ქალაქების დანგრევა არ შეიძლებოდა. იმის მიუხედავად, რომ *მურსილის* მრავალი სამხედრო ოპერაციის ჩატარება უხდებოდა, თავს ვალდებულად თვლიდა, აღესრულებინა საკულტო რიტუალები, რათა მამამისის, *სუფილულიუმას* მიერ „ჩადენილი ცოდვები“ გამოესყიდა.

მთავარი ის იყო, რომ *მურსილის* მეფობის დროს არც ერთი დიდი იმპერია არ ჩანდა საშიშროებად და მის კონკურენტად. ეგვიპტეში - *ეხნატონის* შემდგომ შიდა არეულობა იყო და *რამსეს II*-მდე კიდევ დრო იყო დარჩენილი, რომელიც გარე პოლიტიკაში ჩაება. *მითანი* - თავის პრობლემებს აგვარებდა *ასურეთთან*, რომელიც მას დაპყრობით ემუქრებოდა. ეს იყო მიზეზი ალბათ, რომ *მურსილის* ბევრი დრო მიეცა ისტორიოგრაფიული ჩანაწერებისთვის - არც ერთ მეფეს იმდენი არ უწერია, რამდენიც *მურსილის*. არ არის გამორიცხული, რომ *ხათუსას* არქივი ძირითადად სწორედ მის დროს გადაიწერა. მის ყველაზე დიდ დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ანალების, სახელმწიფო ხელშეკრულებების, ლოცვების, წინასწარმეტყველებების, ბრძანებებისა და იურიდიულ-ადმინისტრაციული ტექსტების წყალობით, *მურსილის* მეფობის დრო ხეთ მეფეთა შორის ყველაზე უკეთ არის დოკუმენტირებული.

ბ) ანალები.¹⁷ „ანალები“ ლათინური სიტყვაა და სიტყვასიტყვით „წელიწდეულს“ ნიშნავს (*ანნალეს*, *ანნუს* „წელი“). ისტორიული წყაროს ეს თავისებური ფორმა წარმოიშვა ძველ რომში, დაახლოებით ქ.წ. V ს. ეს იყო თხზულებანი, რომლებიც უზენაესი ქურუმის (*პონტიფექს მაქსიმუს*) ბრძანებით იწერებოდა ყოველწლიურად. ანალები შედგენილი იყო ე.წ. „ფასტების“ მიხედვით და იწერებოდა ხის დაფებზე, მოქალაქეთა თვალსაჩინოებისათვის. მათში აღწერილია საანგარიშო წლის განმავლობაში მომხდარი სახელმწიფო მნიშვნელობის ამბები.

როგორც ითქვა, ტერმინი „ანალები“ ძველ რომში შეიქმნა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ისტორიული ფაქტების გადმოცემის ასეთი პრინციპი - მმართველთა ზეობის წლების მიხედვით ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვა - ძველმა რომაელებმა გამოიგონეს. სადღეისოდ მოგვეპოვება ამავე პრინციპით აგებული ხეთ, ეგვიპტელ, ასურელ, ებრაელ და ურარტელ მმართველთა მიერ შექმნილი ბევრად უფრო ადრინდელი ისტორიული შინაარსის თხზულებანი.

სამეფო ანალები ისტორიული შინაარსის სხვა წყაროსაგან განსხვავდება ტექსტის აგების წესით. როგორც ითქვა, მეფის საგმირო საქმენი (ვისი სახელითაც იწერება თხზულება), დალაგებულია მისი ზეობის წლების მიხედვით. იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება სამეფო ანალებში გადმოცემული ფაქტები ისტორიულ სინამდვილეს, სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ასეთი თხზულებანი მეფის განსადიდებლად იქმნებოდა და, ამასთანავე, მას საკულტო ფუნქციაც ჰქონდა: მეფე თავის მფარველ ღვთაებას ამცნობდა („ანგარიშს აბარებდა“) მის მიერ ბოძებული ქვეყნის მართვის შესახებ.¹⁸

მურსილი II-ს ეკუთვნის საკუთარი ლაშქრობების შესახებ შედგენილი ორი ტექსტი. „ათწლიანი ანალები“ მეფის მოღვაწეობის პირველ ათ წელს მოიცავს, ხოლო „ვრცელი ანალები“ კი - მთელი მმართველობის პერიოდს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ „ათწლიანი

¹⁷ დამბაშიძე მ., (2002) 39-44; Gambashidze M., (2003) 29-30, დამბაშიძე მ., (2006).

¹⁸ Götze A., 1933, 163.

ანალები“-ს ტექსტი და „ვრცელი ანალების“ დასაწყისი ნაწილი, რომელიც პირველი ათი წლის ამბავს გადმოგვცემს, სიტყვასიტყვით ერთმანეთს არ ემთხვევა. წლების დასახელებისას აქაც ვხვდებით გამოთქმებს „შემდეგ წელს“ (MU(.KAM)-ანნიმა) და „როდესაც გაზაფხულდა“ (mahhanma hameshanza). ივარაუდება, რომ ხეთური ანალისტიკა სათავეს „ანიტას ტექსტიდან“, ანუ ხეთების სამეფომდელი პერიოდიდან (ქ.წ. XVIII ს.) უნდა იღებდეს.

ვისთვის იწერებოდა ხეთური სამეფო ანალები? უპირველეს ყოვლისა აშკარაა მათი საკულტო ფუნქცია: ღვთაებათაგან დადგენილი დანიშნულების შესრულების შემდგომ მეფეებს „ანგარიშის“ სახით უნდა წარედგინათ მათთვის თავიანთი „საგმირო საქმენი“ (pišnadar, LÚ-natar, „ვაჟკაცობა, „საქმენი საგმირონი“).¹⁹

მეორე ფუნქცია ანალებისა იყო მეფის სახელის განდიდება ხალხის თვალში. იგი განკუთვნილი იყო საჯაროდ ხმამაღლა საკითხავად.²⁰

მესამე ფუნქცია იყო ისტორიოგრაფიული, ანუ მათ შთამომავლობისათვის გადასაცემად ადგენდნენ. ჰეროდოტეს ცნობილი ნათქვამი: „ვწერ... რომ დროთა ვითარებაში არ იქნეს დავიწყებული ადამიანთა საქებარი საქმიანობა...“ -რამდენად მიესადაგება ეს გამონათქვამი ხეთურ ანალებს, ძნელი გასარკვევია. ყოველ შემთხვევაში, ანალების ჩამოყალიბების დროს ნაკლებად სავარაუდოა, ხეთ მეფეებს ამაზე ეზრუნათ. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ხეთის ძველი სამეფოს პერიოდში ანალისტიკის მხოლოდ საწყის ეტაპს ვხვდებით, რამაც შემდგომ პერიოდში უკვე ჩამოყალიბებული სახე მიიღო ახალი სამეფოს დროს, რისი თვალსაჩინო მაგალითიც *მურსილი II*-ს ნაწარმოებებია.

მურსილი II-ს „ათწლიანი და ვრცელი ანალები“²¹

¹⁹ „(და) ეს საგმირო საქმე, რომელიც (ჩავიდინე), ქ. არინას მზის ღვთაებას ვუძღვენი“, *ხათუსილი I*-ის „ანალები“, KBo 10.3 წინა მხარე 49-51; „იმის შემდეგ, რაც მამაჩემის ტახტზე დავჯექი, 10 წელი ვიმეფე. ეს მტრული ქვეყნები ჩემი ხელით დავამარცხე 10 წელიწადში... რასაც ქალაქ არინას ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი შემდგომში დამიწესებს, იმას დავიწესებ და შევასრულებ!“, *მურსილი II*-ს „ათწლიანი ანალები“ (KBo 3.4 უკანა მხარე IV 44-48).

²⁰ რასაც მოწმობს *თუთხალია I*-ის ანალები.

²¹ *მურსილი II*-ს „10 წლიანი ანალები“ შემდეგი ფრაგმენტებისაგან შედგება: CTH 61 I.: ა) KBo 3.4 + KUB 23.125; ბ) KBo 16.1 (+ KUB 34.38) + KBo 16.2; ი = A i 1-40; iii = A i 48 და შმდგ.; iii = A ii 5-44; iv = A ii 53-80; გ) KUB 19.38 (+) KUB 14.21 = A iii 34-66; დ) KBo 16.4 = A i 32-44; ე) KBo 16.3; 1311/u, KUB 40.18, KUB 40.29 ? 61 II 01: *მურსილის „ვრცელი ანალები“*: 1 წელი: KUB 19.29 61 II.02: *მურსილის „ვრცელი ანალები“*: 2-4 წლები: ა. KUB 14.16 = BoTU 50, BoTU 51; ბ. KUB 14.15 + KBo 16.104 = BoTU 51a; გ. KUB 19.40 + KBo 16.5; დ. KBo 12.37 ; ii = g 5 და შმდგ.; KBo 22.90, 61 II.03: *მურსილის „ვრცელი ანალები“*: 5 წელი: KUB 31.10 = BoTU 53 61 II 04: *მურსილის „ვრცელი ანალები“*: 7 წელი: KUB 19.31 = BoTU 55; KUB 14.17 = BoTU 54; KUB 19.30 = BoTU 57; KUB 26.79 = BoTU 56; ი = KUB 14.17 iii 10 და შმდგ. 61 II.05: *მურსილის „ვრცელი ანალები“*: 9-11 წელი: ა. KUB 14.28 + KUB 14.29 + KUB 19.3 = BoTU 58A; ბ. KBo 4.4+KBo 19.4 = BoTU 58B; გ. KBo 10.17 = B ii 76 და შმდგ.; დ. KBo 16.7 = B ii 63-66; ე. KBo 16.6 = A i 8 და შმდგ. 61 II 06: *მურსილის „ვრცელი ანალები“*: 12 წელი: ა. KBo 19.76 + KUB 14.20 (+) KUB 19.39; ბ. KBo 14.40 = A i 23-36; გ. KUB 19.34 + KUB 23.81 (+) KUB 19.35 (= A 2-14); დ. KUB 14.24 = BoTU 59; ე. KBo 9.77 + KBo 19.34; (=დ. 19-24) 61 II.07: *მურსილის „ვრცელი ანალები“*: 15-22 წლები: ა. KBo 5.8 = BoTU 61 ა; ბ. KUB 19.36 = BoTU 61B; გ. KBo 16.8 + KBo 16.14 + Bo 69/404; დ. KBo 8.34 + KBo 16.12 = ფრგ. I (მე-17 წელი); ე. KBo 16.11 = ფრგ. II 61 II.08: *მურსილის „ვრცელი ანალები“*: ?? წლები KUB 19.39 = BoTU 63; KBo 16.15 = ფრგ. III; KBo 14.20 + KBo 14.44 + KUB 34.33 + KUB 34.34 = ფრგ. IV, XI; KBo 16.14 = ფრგ. V; KBo 7.17 + KBo 16.13 = ფრგ. VI, XIV; KUB 34.36 = ფრგ. VII; ა. KUB 14.18 = BoTU 67 = ფრგ. VIII; ბ. KBo 14.19 = ფრგ.

ტექსტის კვლევის ისტორია. მურსილი II-ს სახელით ცნობილი სამი ანალიტიკური თხზულებიდან ერთ-ერთია „ათწლიანი ანალები“, რომელიც მურსილი II-ს ტახტზე ასვლიდან პირველი ათი წლის ამბავს გვამცნობს. ტექსტი დიდი მოცულობის კარგად გამომწვარ წითელი თიხის ფირფიტებზეა შესრულებული ორ სვეტად. იგი „სუფილოლოუმას საქმენის“ ფირფიტებთან ერთად იპოვნეს ჰ. ვინკლერისა და მაკრიდი ბეის 1906 წლის ბოლზაქის გათხრებისას, I ტაძრის შენობაში, ხოლო 1931 წელს მისი ახალი ასლიც აღმოჩნდა.

CTH 61. I - მურსილი II-ს „ათწლიანი ანალები“

ტექსტის აგებულება და შინაარსი:

შესავალი: ისტორია. მამისა და ძმის გარდაცვალება. მეფობის დასაწყისი

პირველი წელი: ქასქების ქალაქების - ხალილასა და დუდუსქას დამარცხება, გადაწვა. ნადავლის წამოსხმა. ქალაქების - თურმითასა და ისხუფითას დამორჩილება

მეორე წელი: ქასქების ქალაქების - თიფიას, ქათხაიდუვას, ქამანას დამარცხება, ნადავლის ხელთ გდება

მესამე წელი: უხაციითისთან მიმოწერა. ქ. ფალხუსას გადაწვა. არცავას ქვეყანაში ლაშქრობა. ლავასას მთა, არინანდას მთა

მეოთხე წელი: უხაციითის გარდაცვალება. ქ. ფურანდას გადაწვა. თაფალანცუნაულის, უხაციითის ვაჟის გაქცევა. ალაფის ხელთ გდება, ტყვეების ხათუსაში წამოსხმა. მდ. სეხას ქვეყნის ქვეშევრდომად ქცევა. მირას ქვეყანა. არცავას ქვეყნიდან დეპორტირებული მოსახლეობის ხათუსაში წამოსხმა

მეხუთე წელი: ქასქები. ასხარფაიას მთა. არავანას ქვეყნის დამარცხება. ხათუსაში დაბრუნება

მეექვსე წელი: ქასქები. თარიქარიმუს მთა. ციხარიას ქვეყნის გადაწვა. ხათუსაში დაბრუნება

XII, XIII (+) IBoT 14.20 (+) KBo 16.9 (+) KBo 16.10 = ფრგ. IX (+) KBo 16.11 (+) KBo 16.12; KUB 14.19 = ფრგ. X; KUB 14.25 = BoTU 66 = ფრგ. XV 61.II.09: *მურსილის* „ვრცელი ანალები“: 17-18 წელი: ა. KUB 19.37; ბ. KBo 9.76; გ. KBo 16.16; დ. KUB 31.39, 61.II.10: *მურსილის* „ვრცელი ანალები“: 25 ??? და მომდევნო წლები: 61.III *მურსილის* „ვრცელი ანალები“: დაუდგენელი ფრაგმენტები: 1. KUB 31.9 = BoTU 65; 2. ა. KUB 31.35 + KUB 23.36; ბ. KUB 14.19; 3. KBo 16.18; 4. KUB 30.75; Beckman G./ Bryce Tr. R./Cline E. H. (2011); Cavaignac E., (1929) 145-188; Houwink ten Cate Ph.H.J., (1979b) 267-292; Goetze A., (1924) 391-394; Grélois J.-P., (1988) 17-145; Groddek D., (2003) 283-286; Groddek D., (2007) 237-240; Kammenhuber A., (1969) 168-172; Martino S. (2003); Mineck K.R., (2006) 253-259; Monte G.F. del, (1974) 35-37; Monte G.F. del (1985) 164-166; Monte G.F. (1993); Polvani A.M., (1997) 17-21; Monte G.F. del, (1998) 27-28, 1998/24; Otten H., (1955) 153-179; Polvani A.M., (2005) 279-283; Tenner E., (1926) 83-106.

მეშვიდე წელი. ქ. თიფია. ზემო ქვეყანა. ქასქელი ფიხუნისა წინააღმდეგ ლაშქრობა. ფიხუნისა დამარცხება. თიფიას ქვეყნის დამარცხება

მერვე წელი. დაკარგულია

მეცხრე წელი. ქასქები. აცის ქვეყნის დამარცხება. ფიგაინარესას ქვეყნის გადაწვა. ნადავლის ხელთ გდება

მეათე წელი. აცის ქვეყანა. ქ. არიფსასა და დუქამას დამარცხება, ნადავლის ხელთ გდება. ქ. ხათუსაში წამოსხმა

ეპილოგი

თარგმანი:

მმართველობის დასაწყისი:

§ 1. „(ასე ამბობს) ჩემი მზე, *მურსილი*, დიდი მეფე, მეფე *ხათის* ქვეყნისა, გმირი, *სუფილოლიუმას* ვაჟი, დიდი მეფისა, გმირისა. §2. მამაჩემის ტახტზე ჯერ ასული არ ვიყავი, რომ მეზობელი მტრული ქვეყნები ცუდად განეწყვნენ ჩემს მიმართ. ხოლო როდესაც მამაჩემი ღვთაებად იქცა, *არნუვანდა*, ჩემი ძმა მამაჩემის ტახტზე დაჯდა, მაგრამ შემდეგ ავად გახდა. ხოლო როდესაც მტრულმა ქვეყნებმა *არნუვანდას*, ჩემი ძმის ავადმყოფობის ამბავი შეიტყვეს, ომი წამოიწყეს. §3. ხოლო როდესაც *არნუვანდა*, ჩემი ძმა ღვთაებად იქცა,²² იმ მტრულმა ქვეყნებმაც, რომელთაც ომი გამოცხადებული არ ჰქონდათ, მათაც ომი წამოიწყეს. ხოლო მეზობელმა მტრულმა ქვეყნებმა შემდეგნაირად თქვეს: „მამამისი, *ხათის* ქვეყნის მეფე, გმირი მეფე იყო და მტრული ქვეყნები დაამარცხა. ხოლო იგი ღვთაებად იქცა. ხოლო მისი ვაჟი კი, რომელიც მამამისის ტახტზე დაჯდა, იგიც ძლიერი გმირი იყო ადრე, მაგრამ ავად გახდა და ისიც ღვთაებად იქცა. §4. ხოლო იგი, ახლა რომელიც მამამისის ტახტზე დაჯდა, ახალგაზრდაა და *ხათის* ქვეყანასა და მის საზღვრებს იგი ვერ იხსნის“. §5. იმის გამო, რომ მამაჩემი (თავის ჯართან ერთად) *მითანის* ქვეყანად დიდი ხნით შეყოვნდა და დროულად ვერ დაბრუნდა და ჩემი ქალბატონის, ქ. *არინას* მზის ღვთაების დღესასწაულის (ჩატარება) ვერ მოახერხა. §6. ხოლო როდესაც მე, მზე, მამაჩემის ტახტზე დავჯექი, სანამ გარშემო მყოფი ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებმაც ომი გამოიმცხადეს, საბრძოლველად გავწევდი, ჩემი ქალბატონის, ქ. *არინას* მზის ქალღვთაების დადგენილ დღესასწაულზე ვიზრუნე და აღვნიშნე. ჩემს ქალბატონს, ქ. *არინას* მზის ქალღვთაებას ხელი აღვუპყარი და შემდეგნაირად მივმართე: „ქ. *არინას* მზის ქალღვთაებავ, ჩემო ქალბატონო! ის გარშემომყოფი ქვეყნები, რომლებმაც შეურაცხმყოფა მომაყენეს და პატივი არ მცეს, შენი, ჩემი ქალბატონის, ქ. *არინას* მზის ქალღვთაების მიწებს იტაცებდნენ და კვლავ იგივეს აპირებენ. მაშ მოდი, ჩემო ქალბატონო, ქ. *არინას* მზის ქალღვთაებავ ჩემთან და ეს გარშემომყოფი მტრული ქვეყნები ჩემს წინ დაამარცხე!“ ხოლო ქ. *არინას* მზის ქალღვთაებამ შეისმინა ჩემი და მოვიდა ჩემთან. მაშინ როგორც კი მამაჩემის ტახტზე ავედი, 10 წელიწადში დავამარცხე გარშემო მყოფი მტრული ქვეყნები და გავანადგურე ისინი.

²² DINGIR.LI-iš kišat „ღვთაება გახდა = გარდაიცვალა. ხეთური წარმოდგენით, მეფე გარდაცვალების შემდეგ ღვთაება ხდებოდა.

პირველი წელი:

§7. *თურმითას* ქვეყნის *ქასქების* ქალაქმა ომი გამომიცხადა და (თავს დამესხა). შემდეგ *ქასქები* კვლავ მოდიოდნენ და დაუსრულებელი თავდასხმებით მაწუხებდნენ. მაშინ, ჩემმა მზემ, გავილაშქრე მათ წინააღმდეგ. *ქასქების* მთავარ ქალაქებს, *ხალილასა* და *დუდუსქას*, თავს დავესხი. ხელთ ვიგდე მათი წარტყვევნილი მოსახლეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი და ისინი *ქ. ხათუსასკენ* წამოვასხი. ხოლო ქალაქები - *ხალილა* და *დუდუსქა* გადავაწვევინე. §8. ხოლო როდესაც *ქასქების* ქვეყანამ ქალაქების, *ხალილასა* და *დუდუსქას* განადგურების ამბავი შეიტყო, მთელმა *ქასქების* ქვეყანამ საშველად გამოსწია. ჩემთან საომრად მოვიდა და მე, ჩემმა მზემ, შევებრძოლე მას. *ქ. არინას* მზის ქალღვთაება, [ჩემი ქალბატონი], ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, *მეცულა* (და) ყველა ღვთაება თან მახლდა. მაშინ დავამარცხე *ქასქების* [ქვეყნის] დამხმარე ლაშქარი და გავანადგურე იგი. *ქასქების* ქვეყნის ქალაქი *თურმითა* ხელმეორედ მეყმო და მუდმივად მაწვდიდა ჯარს. §9. მაშინ მე, [ჩემი მზე], უკან დავბრუნდი. და რადგანაც *ისხუფითას* ქვეყანაში *ქასქების* ქალაქმა ომი [გამომიცხა] და და ჯარს არ მაწვდიდა, *ისხუფითას* ქვეყნისაკენ გავწიე და ქალაქ *...ხუმესენას* თავს დავესხი. წარტყვევნილი მოსახლეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი ხელთ ვიგდე და *ქ. ხათუსაში* წამოვასხი. ხოლო (ის) ქალაქი კი გა[დავწვი]. *ისხუფითას* ქვეყნის ქალაქი *ქასქა* ხელმეორედ ყმად გავიხადე. [და ისინი მუდმივად მაწვდიდნენ ჯარს]. და ეს (ყველაფერი) მე ერთ წელიწადში ვქმენ.

მეორე წელი:

§10. [შემდეგ წელს] გავეშურე [ზემო ქვეყნისაკენ]. და რადგანაც *თიფიას*²³ ქვეყანამ ომი გამომიცხადა [და ლაშქარს არ მაწვდიდა], თავს დავეცი მე, მზე, *ქ. ქათხაიდუვას*. წარტყვევნილი მოსახლეობა, მსხვილფეხა და [წვრილფეხა] საქონელი *ხათუსაში* წავასხი, [ქალაქი კი გადავწვი]. §11. შემდეგ [თიფიას ქვეყნიდან *ქ. ხათუსაში* დავბრუნდი და რადგანაც *ისხუფითას* ქვეყანა მტრულად იყო განწყობილი, გავგზავნე ...] და მან ხელახლა დაამარცხა იგი. ხოლო ვინც [ჩემი ქვეშევრდომი] იქ [იყო, ისინი ...] გაიქცნენ. *ნუნ/ურთა ...*. და იგი [გაიქცა ...] *ქასქების* ქვეყნად. [...] და [...] გაიქცა. ხოლო ... [...] რომლებიც] აჯანყების მთავრები [იყვნენ], მათ [მოკლეს(?) ისინი. მაშინ მე,] მზე, [თავს დავესხი] ქალაქ *ქამანას*. [ქალაქ *არინას* მზის ქალღვთაება], ჩემი ქალბატონი, [ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, *მეცულა* და ღვთაებანი [ჩემთან იდგნენ], მაშინ [დავამარცხე *ქ. ქამანა*. ხოლო წარტყვევნილი მოსახლეობა,] მსხვილფეხა (და) წვრილფეხა საქონელი [ხელთ ვიგდე და ქალაქ *ხათუსაში* წამოვასხი. [ქალაქი კი გადავაწვევინე]. და ეს [მე ერთ წელიწადში ვქმენ].

მესამე წელი:

§ 12. შემდეგ წელს გავეშურე [...]. ჩემს ძმას [არნუვანდას ...] *ქ. ხუვარსანასას* და [სურუდას?] ლაშქარი [გამექცა] და [არცავას ქვეყნად მივიდა]. მაშინ [გავუგზავნე] *უხა/ციოთის* მაცნე] და მივწერე: რომელი] ხალხიც, [*ქ. ათარიმას* ლაშქარი,] *ქ. ხუვა/რსანასასა* და *ქ. სურუდას*] ლაშქარი [შენთან] მოვიდა, [უკან გამომიგზავნე!“. მაგრამ *უხაციოთიმ* [ასე მომიგო:] [არავისაც] არ გამოგიგზავნი. და როგორც ისინი [ჩემთან] ნებაყოფლობით [მოვიდნენ, ...]. § 13. [მან მე] ბრძოლა გამიჩაღა [*ქ. თიქუქუვას*] უკან და მე შევებრძოლე მათ. [*ქ. არინას* მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ძლევამოსილი ამინდის ღვთაება და ყველა ღვთაება] ჩემს წინ იდგა, ასე რომ [დავამარცხე მტერი] და გავანადგურე ისინი. დავწვი [*ქ. თიქიქივა*] და *ქ.*

²³ Гамбашидзе М. (2005) 68.

დასმხას ქვემოთ ადგილები. § 14. (დაკარგულია). §15. შემდეგ გავეშურე ქ. *ისხუფითასკენ* და ქ. *ფალხუისას* თავს დავესხი. ქ. *ფალხუისასთან ფისხურიელი* მტერი ჩემს წინააღმდეგ საომრად მოემზადა და მე მას ბრძოლა გავუმართე. ქ. *არინას* მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, *მეცულა* და ყველა ღვთაება მხარში მედგა და *ფისხურიელი* მტერი ქ. *ფალხუისასთან* დავამარცხე. ქალაქი კი გადავაწვევინე. §16. შემდეგ ქ. *ფალხუისადან* ქ. *ხათუსაში* დავბრუნდი. ფეხოსანი (და) ცხენოსანი ლაშქარი შევყარე და ჯერ კიდევ იმავე წელს *არცავას* ქვეყნად გავეშურე. ხოლო *უხაციითის* მაცნე გავუზავენე და ასე მივწერე: „ჩემი ქვეშევრდომები, რომლებიც შენთან მოვიდნენ, როდესაც ისინი უკან მოგთხოვე, არ დამიბრუნე. ვაჟი მომტაცე და შეურაცხემყავი. ახლა კი, უნდა ვიბრძოლოთ! და ამინდის ღვთაებამ, ჩემმა ბატონმა უნდა გადაწყვიტოს ჩვენი სამართალი!“ §17. როდესაც მივემართებოდი და *ლავასას* მთას მივადექი, ამინდის ღვთაებამ, ჩემმა ბატონმა თავისი ღვთაებრივი ძალა გამოაჩინა და ჭექა-ქუხილი მოავლინა. ჩემმა ლაშქარმა იხილა ელვა და *არცავას* ქვეყანამაც იხილა იგი, ელვამ გასწია და შემუსრა *არცავას* ქვეყანა, *უხაციითის* ქალაქი *აფასაც* განგმირა მან. *უხაციითი* მუხლზე დააჩოქა და იგი ავად შეიქმნა. ხოლო როდესაც *უხაციითი* ავად შეიქმნა, ასე მოვიდა იგი ჩემთან საბრძოლველად. მან მე თავისი ვაჟი, *სუმმაქალი* გამომიგზავნა ფეხოსან და ცხენოსან ლაშქართან ერთად და მდინარე *ასთარფასთან* მდებარე ქ. *ვალმასთან* საომრად გაემზადა და მე, მზე, მას შევერკინე. ქ. *არინას* მზის ქალღვთაება, ჩემმა ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, *მეცულა* და ყველა ღვთაება მხარში მედგა და *სუმმაქალი*, *უხაციითის* ვაჟი დავამარცხე თავის ფეხოსან და ცხენოსან ლაშქართან ერთად. შემდეგ მას გავედევნე და *არცავას* ქვეყანაში შევიჭერი, ქ. *აფასაში*, *უხაციითის* სამყოფელში მივედი. მაშინ *უხაციითი* წინააღმდეგობა ვერ გამიწია. იგი გამექცა ზღვისკენ, გემებისკენ და იქ შეჩერდა. §18. მთელი *არცავას* ქვეყნის (მოსახლეობა) გაიქცა. რამდენიმე რაზმმა *არინანდას* მთას მიაშურა და *არინანდას* მთა დაიკავა. სხვა რაზმებმა კი ქალაქ *ფურანდასკენ* გასწიეს და დაიკავეს ქ. *ფურანდა*. სხვა რაზმებმა კი *უხაციითისთან* ერთად ზღვა გადალახეს. და მე, მზე, *არინანდას* მთისკენ რაზმს უკან გავყევი და *არინანდას* მთასთან ბრძოლა გავუმართე. ქ. *არინას* მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, *მეცულა* და ყველა ღვთაება გვერდში მედგა და *არინანდას* მთა დავამარცხე. იმ წარტყვევნილი მოსახლეობის რიცხვი, რომელიც მე, მზემ სასახლეში წამოვასხი, 15 500 იყო, ხოლო ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი კი - უთვლელი. მაშინ გავგზავნე წარტყვევნილი მოსახლეობა ქ. *ხათუსაში* და ისინი ადგილზე მიიყვანეს. §19. ხოლო როდესაც *არინანდას* მთა დავიპყარი, მდ. *ასთარფასთან* უკან დავბრუნდი და გამაგრებული ლაშქარი მდ. *ასთარფასთან* დავამარცხე. წლის დღესასწაული იქ დავიწყე. და ეს ყველაფერი ერთ წელიწადში ვქმენ.

მეოთხე წელი:

§20. როდესაც გაზაფხულდა, *უხაციითი* კვლავ ავად იყო და ზღვაში იმყოფებოდა. ვაჟებიც თან ახლდნენ. *უხაციითი* ზღვაში გარდაიცვალა. მისი ვაჟები კი გაიყვნენ, ერთი ზღვაში დარჩა, მეორე კი - *თაფალაცუნაული*, ზღვიდან გამოვიდა. და რადგანაც *არცავას* მთელი ქვეყანა ... ქ. *ფურანდასკენ* ზემოთ იყო ასული, *თაფალაცუნავალი* ქ. *ფურანდაში* ავიდა. §21. [და მე, მზემ ქ. *ხათის* ლაშქარი] დავრაზმე და ქ. *ფურანდასკენ* საბრძოლველად გავწიე. *თაფალაცუნავალი* ფეხოსან და ცხენოსან ლაშქართან ერთად მოვიდა ქ. *ფურანდადან*, ჩემს წინააღმდეგ სალაშქროდ გაემზადა და თავის ველ-მინდორზე საომრად დადგა. მაშინ მე, მზემ ბრძოლა გავუმართე მას. ქ. *არინას* მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის

ღვთაება, ჩემი ბატონი, [მეცულა და ყველა ღვთაება გვერდით მედგა. მაშინ დავამარცხე თაფალაცუნაუვალი [...] თავის ფეხოსან (და) ცხენოსან ლაშქართან ერთად და დავამარცხე. შემდეგ კვლავ შევიპყარი [იგი], ქ. ფურანდასკენ გავწიე, (ქალაქი) გავანადგურებინე, შემდეგ კი გადავაწვევინე და წყლის მიწოდება მოვუჭერი. §22. [ხოლო იმ დროს, როდესაც ქ. ფურანდა გადავაწვევინე, [თაფალაცუნ]ავალის, უხაციითის ვაჟს, რომელიც ქ. ფურანდაში ზემოთ იმყოფებოდა, [შეე]შინდა და ღამით ქ. ფურანდადან გაიქცა. [შემდეგ თავისი ვაჟები] და ლაშქარი თავიანთი სადგომიდან (?) წაიყვანა [და] ქ. ფურანდადან ზემოთ აიყვანა. §23. [ხოლო როდესაც მე, მზემ, შე]ვიტყვე: „თაფალაცუნაუვალი [ღამით გაიქცა], თავისი ვაჟები და ლაშქარი [თავიანთი სადგომიდან] წაიყვანა და ზემოთკენ გასწია“, [მაშინ] დავადევნე მე, [მზემ], ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი. [ისინი] დაეწიენ(?) [თაფალაცუნაუვალი]ს [და] წაართვეს მას თავიანთი ვაჟები], წარტყვევნილი მოსახლეობა და უკან [წაიყვანეს ისინი. თაფალაცუნაუვალი] კი მარტო გაიქცა. [ხოლო მათ ხელთ იგდეს] მისი ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი. §24. [... ქ. ფურანდა გადავწვი, [...დავიწყე [ომი]. [ქ. არინას მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი], მეცულა [და ყველა ღვთაება გვერდით მედგნენ, მაშინ] დავამარცხე ქ. ფურანდა. [ხოლო იმ გამოძევებული მოსახლეობის რიცხვი, რომლებიც მე სასახლეში მოვიყვანე], 15[X]00-ს შეადგენდა. ხოლო [ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქრის], მსხვილფეხა (და) წვრილფეხა საქონელის რიცხვი კი უთვლელი იყო. [მაშინ მე ისინი ქ. ხათუსაში გავგზავნე და მათ] წაიყვანეს [ისინი]. §25. [...] იყო [ზღვაში]. [...] უხაციითის ვაჟი, [...] და იგი ზღვიდან [გამოვიდა და მივიდა ...] ახიავას ქვეყნის მეფესთან. [მაშინ] გავგზავნე მე, [მზემ ...] გემებისაკენ, [და ახიავას ქვეყნის მეფემ ისინი გა]უშვა და ისინი წავიდნენ. [იმ წარტყვევნილი მოსახლეობის რიცხვი], რომლებიც მასთან ერთად წაიყვანეს, იყო [ქ. ... -ს წარტყვევნილ მოსახლეობასთან ერთად] და ქ. ლიფას გამოძევებულ მოსახლეობასთან ერთად [...] წარტყვევნილი მოსახლეობა. [მე ქ. ხათუსაში] გავგზავნე, და ისინი წაიყვანეს. §26. [ხოლო როდესაც მდ. სეხას ქვეყნიდან წავედი, [მანაფა-თარხუნთა], მდ. სეხას (ქვეყნის) [ბატონი], დავამარცხე. მაგრამ როდესაც ჩემს შესახებ [მანაფა-თარხუნთამ შეიტ]ყო: „ხათის ქვეყნის მეფე მოდისო“, [შეე]შინდა და ჩემს წინააღმდეგ არ [გამოვიდა და] გამომიგზავნა თავისი დედა, მოხუცი ბრძენი უხუცესი კაცები და ქალები, მოვიდნენ ისინი (და) ფეხთ [ჩამივარდნენ]. და რადგანაც ქალები ფეხთ ჩამივარდნენ, [ქალები] შევიწყალე და მდ. სეხას ქვეყნისაკენ [არ] გავეშურე. მაშინ ხათიდან წარტყვევნილი მოსახლეობა, რომლებიც მდ. სეხას ქვეყანაში იყვნენ, უკან გადმომცეს. ხოლო ეს წარტყვევნილი მოსახლეობა, რომლებიც უკან გადმომცეს, 4 000 იყო. ისინი ქ. ხათუსაში უკან გავგზავნე და მიიყვანეს იქ. ხოლო თავად მანაფა-თარხუნთა და მდ. სეხას ქვეყანა ჩემს ქვეშევრდომად ვქმენ. §27. მაშინ მირას ქვეყნისაკენ გავწიე და მირას ქვეყანა მსხვილფეხას ჩავაბარე. ხოლო მდ. სეხას ქვეყანა მანაფა-თარხუნთას გადავეცი, ხაფალას ქვეყანა კი თარგასნალის ვუბოძე. ეს ქვეყნები გავანადგურე. ჯარის (მოწოდება) დავაწესე და ისინი მე რეგულარულად მიგზავნიდნენ ჯარს. ხოლო მეორე წელს, არცავას ქვეყანაში გამოზამთრების შემდეგ, ქ. არინას მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ყველა ღვთაება გვერდით მედგა და დავამარცხე არცავას ქვეყანა. (მოსახლეობის?) ერთი ნაწილი ქ. ხათუსაში წავიყვანე, ხოლო მეორე ნაწილი ადგილზე დავამარცხე და ჯარის (მოწოდება) დავუწესე და ისინი რეგულარულად მაწვდიდნენ ჯარს. და როდესაც მთელი არცავას ქვეყანა დავამარცხე, იმ წარტყვევნილების რიცხვი,

რომლებიც მე სასახლეში წავგვარე, ერთიანად 66 000²⁴ იყო. ხოლო ქ. *ხათუსას* ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქრის მიერ წამოსხმულ მოსახლეობას, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელს თვლა არ ჰქონდა. და როდესაც მთელი *არცავას* ქვეყანა დავამარცხე, ქ. *ხათუსაში* დავბრუნდი. ამის შემდეგ *არცავას* ქვეყანაში გამოვიზამთრე და ეს (ყველაფერი) ერთ წელიწადში ვქმენ.

მეხუთე წელი:

§28. შემდეგ წელს გავემურე *ასხარფაიას მთისაკენ*. და ქ. *ქასქას*, რომელსაც *ასხარფაიას მთა* ჰქონდა ხელთ ჩაგდებული და *ფალას* ქვეყნისაკენ გზა ჰქონდა მოჭრილი, *ასხარფაიას მთასთან* შევებრძოლე. ქალაქ *არინას* მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, *მეცულა* და ყველა ღვთაება გვერდში მედგა. ქალაქი *ქასქას*, რომელსაც *ასხარფაიას მთა* ეპყრა, დავამარცხე და გავანადგურე. *ასხარფაიას მთა* დავაცარიელე. შემდეგ შინ დავბრუნდი და როდესაც ქალაქ *სამუხას* მივაღწიე, ქალაქ *ციულილასთან* შევისვენე. §29. და სანამ მამაჩემი *მითანის* ქვეყანაში იმყოფებოდა, *არცაველი* მტერი, *ქისიას* ქვეყანას ხშირად თავს ესხმოდა და ავიწროვებდა. მაშინ მე, მზე *არავანას* ქვეყნისაკენ გავემურე და *არავანას* ქვეყანას თავს დავესხი. ქალაქ *არინას* მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, *მეცულა* და ყველა ღვთაება გვერდით მედგა. მაშინ დავამარცხე *არავანას* ქვეყანა. ხოლო იმ წარტყვევნილი მოსახლეობის რიცხვი, რომელიც *არავანას* ქვეყნიდან სამეფო სასახლეში წავასხი, იყო 3 500. ხოლო ის მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, რაც ქალაქ *ხათუსას* ფეხოსანმა და ცხენოსანმა ლაშქარმა წამოასხა, უთვლელი იყო. ხოლო როდესაც *არავანას* ქვეყანა დავამარცხე, ქალაქ *ხათუსაში* უკან დავბრუნდი. და ყოველივე ეს ერთ წელიწადში ვქმენი.

მეექვსე წელი:

§30. შემდეგ წელს *ციხარას* ქვეყნისაკენ გავემართე. ბაბუაჩემის დროს *ქასქას* ქალაქმა *თარიქარიმუს* მთა ძალით დაიკავა. მაშინ ქ. *ხათუსას* საფრთხე შეექმნა, მოვიდნენ ისინი (და) თავს დაესხნენ ქ. *ხათუსას* და მეტად შეავიწროვეს. მე, მზე გავემართე და ქ. *ქასქას*, რომელმაც *თარიქარიმუს* მთა დაიპყრო, თავს დავესხი. ქ. *არინას* მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, *მეცულა* და ყველა ღვთაება გვერდით მედგა. მაშინ დავამარცხე *ქასქას* ქალაქი *თარიქარიმუს* მთაზე და გავანადგურე იგი. *თარიქარიმუს* მთა კი დავაცარიელე, *ციხარას* მთელი ქვეყანა გადავაწვევინე. შემდეგ ქ. *ხათუსაში* უკან დავბრუნდი და ყოველივე ეს ერთ წელიწადში ვქმენ.

მეშვიდე წელი:

§ 31. შემდეგ წელს ქ. *თიფიასკენ* გავემურე. იმ დროს, როდესაც მამაჩემი *მითანის* ქვეყნად იყო, *თიფიელი ფიხუნია* გამოჩნდა და ზემო ქვეყანა თავდასხმებისაგან შეაწუხა. შემდეგ იგი ქ. *ცაცისასკენ* გაემურა. ზემო ქვეყანა ხელთ იგდო. *ისთითინას* მთელი ქვეყანა კი შეინარჩუნა და თავის საბრძანებლოდ ქმნა. §32. ამის შემდეგ *ფიხუნია ქასქების* მსგავსად არ მეფობდა, არამედ *ფიხუნია ქასქების* იმ ქალაქებში მეფობდა, სადაც მმართველი არ იჯდა. და მე, მზემ მის წინააღმდეგ გავილაშქრე. მას მაცნე გავუგზავნე და მივწერე: „ჩემი მსახურები, რომელიც შენ ხელთ გყავს და *ქასქების* ქვეყანაში წაასხი, დამიბრუნე უკან!“ *ფიხუნია*მ კი ასე მომწერა: „უკან არაფერს არ დაგიბრუნებ. მაშინაც კი, თუ ომს

²⁴ 6 x 10000 6 LI-IM, KBo 3.4 უკანა მხარე III 33.

გამომიცხადებ, ჩემს მიწაზე არ შეგებრძოლები, შენს ქვეყნად მოვალ და შენს ქვეყანაში შეგებრძოლები“. და რადგან *ფიხუნია* ასე მომწერა და ჩემი მსახურები არ დამიბრუნა, მის წინააღმდეგ გავილაშქრე და ქვეყანას თავს დავეცი. ქ. *არინას* მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, *მეცულა* და ყველა ღვთაება ჩემს გვერდით იდგა, დავამარცხე *თიფიას* ქვეყანა და გადავაწვევინე. *ფიხუნია* კი შევიპყარი და ქ. *ხათუსაში* წავიყვანე. შემდეგ *თიფიას* ქვეყანაში დავბრუნდი და რადგან *ფიხუნიას ისთითინას* ქვეყანა ეპყრა, იგი კვლავ ავაგე და იგი კვლავ *ხათის* ქვეყნად ვაქციე. §33. როდესაც *თიფიას* ქვეყანა დავამარცხე, *აცის* მეფეს, *ანიას* მაცნე გავუგზავნე და მივწერე: „იმ დროს, როდესაც მამაჩემი *მითანის* ქვეყანაში იმყოფებოდა, ჩემი მსახურები, რომლებიც შენთან მოვიდნენ, [უკან დამიბრუნე]!...“

მერვე წელი:

დაკარგულია.

მეცხრე წელი:

დასაწყისი დაკარგულია.

§39. [...] რომელი [...] შიში [...] შემოვბრუნდი. [...] არ] შე[მებრძოლა. ზემო ქვეყანაში რომელი ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარიც] დავეტოვე, [*ნუვანცამ*, დიდმა მეღვინეთუხუცესმა] მოიყვანა [ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი] საშველად და გასწია ქ. *ქანუვარასკენ* [ქ. *აცის* მტერთან შესაბრძოლებლად]. და *აცის* ქვეყნის ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი [*ნუვანცას*, დიდი მეღვინეთუხუცესის წინააღმდეგ საბრძოლველად] შეემართა. ხოლო *აცის* ქვეყნის ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი [*ნუვანცამ*, დიდმა მეღვინეთუხუცესმა] დაამარცხა. ტყვეებისა და მოკლულების რიცხვს [თვლა არ ჰქონდა]. §40. [ხოლო როდესაც მე, მზე, ქალაქ *ქიცუ/ვათანდან* ამოვედი, რადგანაც წელი [იწურებოდა], ამის გამო *აცის* ქვეყანაში არ წავედი. [და რადგან ქალაქმა *იახრესამ*] ომი დამიწყო და ჯარს არ მაწვდიდა, [...] ქალაქი [...] თავდასხმებით ავიწროვებდა, [გავეშურე მე,] მზე ქალაქ *იახრესასკენ* და ქ. *იახრესას* თავს დავესხი. ქ. *არინას* მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, [*მეცულა*] და ყველა [ღვთაება] გვერდით მედგა. მაშინ დავამარცხე ქალაქი *იახრესა*, შემდეგ კი გადავაწვევინე. შემდგომ კი გავეშურე *ფიგაინარესას* ქვეყნისაკენ. *ფიგაინარესას* ქვეყნიდან ქ. *ქასქას* დავესხი თავს და დავამარცხე იგი. *ფიგაინარესას* ქვეყანა კი [გადა]ვაწვევინე. წარტყვევნილები, მსხვილფეხა (და) წვრილფეხა საქონელი კი ხელთ ვიგდე [და] ქ. *ხათუსაში* წამოვასხი. და ეს ყველაფერი ერთ წელიწადში ვქმენ.

მეათე წელი:

§41. შემდეგ წელს გავწიე *აცის* ქვეყანაში. *აცის* ქვეყნის ფეხოსანი (და) ცხენოსანი ლაშქარი საომრად არ გამოსულა და მთელი ქვეყანა გამაგრებულ ქალაქებში დაბანაკდა. მხოლოდ ორი გამაგრებული ქალაქის, *არიფსასა* და *დუქამას* წინააღმდეგ გავილაშქრე. ქ. *არინას* მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, *მეცულა* და ყველა ღვთაება გვერდით მედგა. მაშინ ხელთ ვიგდე ქ. *არიფსა* და ქ. *დუქამა* ბრძოლით. იმ წარტყვევნილთა რიცხვი, რომელიც სამეფო სასახლეში წამოვასხი, 3 000 იყო. ხოლო ის მსხვილფეხა (და) წვრილფეხა საქონელი, რომელიც ქ. *ხათუსას* ფეხოსანმა და ცხენოსანმა ლაშქარმა წამოასხა, უთვლელი იყო.

დასკვნა:

იმის შემდეგ, რაც მამაჩემის ტახტზე დავჯექი, 10 წელი ვიმეფე. ეს მტრული ქვეყნები ჩემი ხელით დავამარცხე 10 წელიწადში. ხოლო ის მტრული ქვეყნები, რომლებიც უფლისწულებმა დაამარცხეს, აქ არ არის (აღნიშნული). რასაც მე ქ. *არინას* ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი შემდგომში დამიწესებს, იმას დავიწესებ და შევასრულებ!“

CTH 61.II - მურსილი II-ს „ვრცელი ანალები“

ტექსტის კვლევის ისტორია. მურსილი II-ს მესამე ნაწარმოებია ე.წ. „ვრცელი ანალები“. მისი დასაწყისი წარმოადგენს „ათწლიანი ანალების“ თავისუფალ თხრობას. შემდგომ გრძელდება მეფობის მომდევნო 8 წლის აღწერა. ათწლიანი ანალები წარმოადგენს დასრულებულ თხზულებას, პროლოგითა და ეპილოგით.²⁵ ვრცელი ანალები ათწლიანი ანალების გაგრძელება არ არის. იგი დამოუკიდებელი თხრობაა *მურსილი II-ს* მთელი მეფობისა, რომელიც, ბუნებრივია, ათწლიან ანალებში გადმოცემულ ცნობებს იმეორებს (სავარაუდოა, რომ იყენებს და ეყრდნობა მას).

ტექსტის აგებულება და შინაარსი

შესავალი. მამისა და ძმის გარდაცვალება. მეფობის დასაწყისი.

პირველი წელი. ქასქების ქალაქების, ხალილასა და დუდუსქას დამარცხება, გადაწვა. ნადავლის წამოსხმა.

მეორე წელი. ნუვანცას, დიდი მეღვინეთუხუცესის, ქარგამიშის ქვეყანაში გაგზავნა. ასურეთი. ქასქების ქალაქების - თიფიას, ქათხაიდუვას, ისხუფითას დამარცხება, ნადავლის ხელთ გდება. ფაცანასა და ნუნუთას, ქვეშევრდომების ხსენება. ქ. ისთახარა და ფალხუისა. ქ. კამამას ხალხი. ქ. ანქუვაში გამოზამთრება.

მესამე წელი. უხაციითისთან მიმოწერა. მილავანდას ქვეყანა. მასხუილუვა, მირას ქვეყნის მეფე. ქ. ფალხუისას გადაწვა. არცავას ქვეყანაში ლაშქრობა. ლავასას მთა, არინანდას მთა.

მეოთხე წელი. უხაციითის გარდაცვალება. ქ. ფურანდას გადაწვა. თაფალანცუნაულის, უხაციითის ვაჟის გაქცევა. ალაფის ხელთ გდება, ტყვეების ქ. ხათუსაში წამოსხმა. მდ. სეხას ქვეყნის ქვეშევრდომად ქცევა.

მეხუთე წელი. ასხარფაიას მთა.

მეექვსე წელი. დაკარგულია.

მეშვიდე წელი. ქარგამიშის ქვეყანა. ნუხასელი ტყვეები. ნახსენებია ეგვიპტესთან დადებული ხელშეკრულება. ქ. ნუხასის ხალხთან ბრძოლა. კანთუცილის გაგზავნა ქარგამიშის ქვეყანაში. ზემო ქვეყანა. თიფიას ქვეყანა. დანქუვასა და ხაიასას ქვეყნები.

²⁵ იქვე: 105.

მერვე წელი. მანაფა-დათა. ხაიასას ქვეყანასთან მიმოწერა.

მეცხრე წელი. ხაიასას ქვეყანა. ქიციუვათნა. ეგვიპტე. ზემო ქვეყანა. ქ. ქანუვარა. ქ. ასთათაში ციხე-სიმაგრის აგება. ქ. იახრესას დაპყრობა. ფიგაინარესას ქვეყნის გადაწვა. ქ. თარქუმას გადაწვა. ალაფის ხელთ გდება. ანქუვაში გამოზამთრება.

მეათე წელი. აცის ქვეყანა. ქ. არიფსასა და დუქამას დამარცხება, ალაფის ხელთ გდება. ქ. ხათუსაში წამოსხმა. ქ. ხათუსაში გამოზამთრება და დღესასწაულის გადახდა.

მეთერთმეტე წელი. აცის ქვეყნის უბმოლველად დამორჩილება. ქ. ანქუვაში გამოზამთრება.

მეთორმეტე წელი. მამის შესახებ ცნობები. მასხვილუვას შესახებ ცნობები. ფითასასა და ხათარსას ქვეყნების აჯანყება. მირას ქვეყანა.

მეცამეტე-მეთვრამეტე წლები. დაკარგულია.

მეცხრამეტე წელი. თავასთას ქვეყნის გადაწვა. ქასქები. თაქუვახინასა და თახანთათიფას ქვეყნების გადაწვა. ქ. ანქუვაში გამოზამთრება.

მეოცე წელი. ქასქები. ფალას ქვეყანა.

ოცდამეერთე წელი. ფითაგათალის დამარცხება. ალაფის ხელთ გდება. ქასუს მთიანეთი.

ოცდამეორე წელი. ქალასმას, ლალხასა და მიდუვას ქვეყნების გადაწვა. ქ. ხათუსაში დაბრუნება და დღესასწაულის გადახდა. ქასქები. თაფაფანუვას ქვეყნის გადაწვა. ქ. ცითხარისასა და ქ. ქათესხისას გადაწვა.

ოცდამესამე წელი. ქ. მასას დამარცხება.

ოცდამეოთხე წელი. ქასქების ქალაქების - თიმუხალას, თიასილთასა და ქარასუვას გადაწვა. საზღვრების დადგენა. ქ. ქათაფაში გამოზამთრება. ალაფის ხელთ გდება.

ოცდამეხუთე წელი. მალას მდინარის დღესასწაული. ვალქინას ქვეყნის დამარცხება. ალაფის ხელთ გდება და ქ. ხათუსაში წამოსხმა. ლალხას ქვეყანა. ქასქების დამარცხება. თაფაფანუვას ქვეყნის გადაწვა. ალაფის ქ. ხათუსაში წამოსხმა. ქ. ქარასუვას გადაწვა. ქ. თახასდუვარას გადაწვა. ალაფის ხელთ გდება.

ოცდამეექვსე წელი. ქ. თავასთას, ისთალუბას, ქაბუბუვას, ხუფთას განადგურება. ალაფის ხელთ გდება. ზაგაფურასა და ქასიფას ქვეყნების განადგურება. თახანდათიფასა და თაქუვახინას ქვეყნების დამარცხება.

ოცდამეშვიდე წელი. ფულურის დღესასწაულის გადახდა. ლალხასა და ისხუფას ქვეყნების განადგურება. ქ. ხათუსაში დაბრუნება. ქ. ლაქუს გადაწვა. ქალასმას ქვეყნის კვლავ ხათუსასთვის შემოერთება.

X წელი. ქ. ქუვათელსას მთიანეთი.

CTH 61. II - მურსილი II-ს „ვრცელი ანალები“

მეფობის დასაწყისი

(KUB 19.29 უკანა მხარე IV 9-23). მეთაურობდა, თავისი მამის მმართველობის (=კურსის) მიმდევარი იყო და ადრე ომის გმირი (გახლდათ). „თუკი ჩემგან პატივისცემას ითხოვ, შენც ასეთი (=პატივისცემი) უნდა იყო“. ხოლო როდესაც ჩემი ძმა ავადმყოფობა შეიტყვეს. *ხანუთი*, რომელიც ამ დროისთვის ქვემოთა მიწებს განაგებდა, როგორც კი *ისხუფითას* ქვეყანაში მივიდა, იქ გარდაიცვალა. და როდესაც მათ *ხანუთის* სიკვდილიც შეიტყვეს, ამის გამო აჯანყდნენ და შემდეგი სიტყვები მომწერეს: „შენ ყრმა ხარ და არაფერი გესმის, [ჩემგან პატივისცემას არ] იმსახურებ. ახლა შენი ქვეყანა მიწასთანაა გასწორებული და [შენი] ლაშქარი [და შენი ცხენოსნები] შეცოტავდნენ. ხოლო შენი ლაშქრის წინააღმდეგ ჩემი ლაშქარი მეტია, შენი ცხენოსნების წინააღმდეგ კი - ჩემი ცხენოსნები მეტნი არიან. [მამაშენს] დიდი ლაშქარი (და) ბევრი ცხენოსანი ჰყავდა; შენ კი ყრმა რომ ხარ, როგორ შეედრები მას?“ და მათ უგულვებელმყვეს მე და ჩემი მსახურები არ გადმომცეს. ... რადგან მტერმა

1 წელი (KUB 19.29 უკანა მხარე IV 30-39);

თურმითას ქვეყნის *ქასქების* ქალაქებმა ომი გამომიცხადეს და... მე. შემდეგ *ქასქების* ქალაქი კიდევ მოვიდა და *თურმითას* ქვეყანას გამუდმებული თავდასხმებით აფორიაქებდა. მაშინ მე, ჩემმა მზემ, გავწიე მათ წინააღმდეგ. და *ქასქების* მთავარი ქვეყნებს - *ხალილასა* და *დუდუსქას* თავს დავესხი. და მათი წარტყვევნილები, მსხვილფეხა (და) წვრილფეხა საქონელი *ქ. ხათუსაში* წამოვასხი. *ხალილა* და *დუდუსქა* კი გადავაწვევინე. [ხოლო] როდესაც *ქასქას* ქვეყანამ *ხალილასა* და *დუდუსქას* დაცემის ამბავი შეიტყო, მთელი *ქასქას* ქვეყანა გამოეშურა დასახმარებლად. [და] (საქმე) ომამდე მივიდა და მე, ჩემმა მზემ, ვიომე. და *ქ. არინას* მზის ქალღვთაება, [ჩემი ქალბატონი], ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა (და) ღვთაებანი ყველანი გევრდს მედგნენ. (KUB 14.16 წინა მხარე I 1-8) ... როდესაც და დამხმარე რაზმებიც დავამარცხე. ... მეორეჯერ დავამარცხე. ... *ხუმესინასკენ* გავეშურე. ... და... დავამარცხე. და ქალაქი [გადავაწვევინე. და] ხელთ ვიგდე [წარტყვევნილები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი [ხათუსაში წავასხი].

2 წელი (KUB 14.16 წინა მხარე I 9-35)

[სანამ მე მამაჩემის ტახტზე დავჯდებ]ოდი, ჩემს ძმას, *შარი-ქუმუხს*, [ქარგამიშის მეფეს, არც ერთი დიდებული არ წაყოლია, *ქარაშმუვაც* კი] ... ბანაკში დატოვა. [... ხოლო როდესაც] მამაჩემის ტახტზე დავჯექი, ... და *ნუვანცა*, დიდი მეღვინეთუხუცესი, გავაგ[ზავნე...] *ქარგამიშის* ქვეყანაში. და იგი დარჩა *შარი-ქუმუქთან*, [ჩემს ძმასთან, *ქარგამიშის* ქვეყანაში. [და] *ნუვანცა*, დიდი მეღვინეთუხუცესი, [შემდეგნაირად დავარიგე]: „თუკი მოვა *ასურელი*, შეებრძოლეთ მას! [ხოლო თუკი არ] მოვა, დაიკავეთ ქვეყანა და [დაიცავით] ქვეყანა!“ როდესაც *ასურელმა* შეიტყო იმის შესახებ, რომ [ხათის ქვეყნის] ლაშქარი მოსულიყო, აღარ მოვიდა. და ის დრო, რომლის დროსაც *ქასქას* მტერი ჩემდამი მტრულად იყო განწყობილი და გამუდმებით ემუქრებოდა *ხათის* ქვეყანას დარბევით, [...] არ დადგა. ბევრჯერ [გააგზავნა?/გავაგზავნე] ლაშქარი *ქარგამიშში*

ასურელის წინააღმდეგ. მან კი ეს [ლაშქარი] ქვემო ქვეყანაში წაიყვანა არცავა მტრის [წინააღმდეგ]. და მათ ქვეყანა დაიცვეს. ჩემთან კი [ძალიან ცოტა] ჯარი იყო დარჩენილი. ფეხოსანი ლაშქარი და მსახურნი, რომლებიც ჩემს სამსახურში იდგნენ, [მიდიოდნენ] და თავს ესხმოდნენ მტრის [ქვეყანას]. მე კი ზემო ქვეყნად გავწიე და ქალაქ *ქათხიდუვას* [თავს] დავესხი. ხოლო ღვთაებანი ჩემთან იყვნენ: ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, [ქ. *არინას* ქალღვთაე]ბა, ჩემი ქალბატონი, ქ. *ხათის* ამინდის ღვთაება, ქ. *ხათის ქალი*, ლაშქრის ამინდის ღვთაება, დაუმარცხებელი ამინდის ღვთაება. ქალაქი გადავწვი, წარტყვევნილები, [მსხვილფეხა და წვრილფეხა] საქონელი კი ხელთ ვიგდე და ქ. *ხათუსაში* წამოვასხი. ხოლო მაშინ [ისხუვითას ქვეყანა] მტრულად განეწყო, მე იგი კვლავ დავამარცხე და გავანადგურე. *ფაცანა* კი მე და ნუნუთას, ჩემს ქვეშევრდომს, [გაგვექცა]. (KUB 14.15 წინა მხარე I 1-22) ხოლო ღვთაებები ჩემთან იყვნენ: ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი [ქ. *არინას* მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბ[ატონი], ქ. *ხათის* ამინდის ღვთაება, ქ. [ხათის] ქალი, ლაშქრის ამინდის ღვთაება, დაუმარცხებელი ამინდის ღვთაება. ... ხოლო ქალაქი გადავწვი, წარტყვევნილები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი კი ქ. *ხათუსაში* წამოვასხი. ხოლო როდესაც ქ. *ფალხუსასკენ* გავწიე, ღვთაებები ჩემთან იყვნენ და [დავამარცხე] ქ. [ფალ]ხუსა. ქალაქი კი გადავწვი, წარტყვევნილები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი ხელთ ვიგდე და ქ. *ხათუსაში* წამოვასხი. ხოლო დამხმარე ლაშქარი, რომლებიც იქ იყო, როცა მე მათ წინააღმდეგ წავედი საბრძოლველად, წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, ისინი ჩემს წინ წავიდნენ და გამასწრეს. მაშინ წავედი და დავბანაკდი ... ზემოთ, შემდეგ *ისტახარაში* უკან დავბრუნდი. ხოლო ... და *ფალხუსადან* [ავიდე] მარცვლელი და ქ. *ხათუსაში* წავიდე. ხოლო *ქამანას* და ...-ს ხალხს ასე მივწერე: „*ფაცანა* და [ნუნუთა... თუ თქვენთან მოვიდნენ, შეიპყარით და ჩემთან გამოაგზავნეთ! [ხოლო თუკი არ შეიპყრობთ] და არ გამომიგზავნით, [მოვალ და გავანადგურებთ და ქ. *ფალხუსას* ამინდის ღვთაებას შევწირავ და გავწმენდ. ... და როდესაც *ქამანას* და ...-ს ხალხმა ეს შეიტყო, შეშინდნენ [და] დახოცეს [ფაცანა და ნუნუთა]. *ქამანას* ხალხი და ...-ს ხალხი მეორედ დამემორჩილა. მაშინ მე ქ. *ანქუვაში* დავბინავდი და [იქ] გამოვიზამთრე.

3 წელი (KUB 14.15 წინა მხარე I 23-32)

როდესაც გაზაფხულდა, ვინაიდან *უხა[ციითი ახიავას* ქვეყნის მეფის მხარეს იყო გადასული] და *მილაგანდას* ქვეყანამაც მოიმიზეზა *ახიავას* ქვეყნის მეფის მხარეს გადასვლა, [მე, ჩემმა მზემ, ამას მშვიდად ვერ შევხედე]. და გავგზავნე *გულა* და *მალაციითი* და ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი; და ისინი თავს დაესხნენ [მილაგანდას ქვეყანას], ხელთ იგდეს მათი წარტყვევნილები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი [და ქ. *ხათუსაში* წამოვასხი]. ვიდაიდან *მასხუილუვას*, *მირას* მეფეს, ქ. *იმფა* (კვლავ დაკავებული) ჰქონდა, *სუმმაქალი*, *უხაციითის* [ვაჟი] გაემურა მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ხოლო ჩემი ღვთაებანი *მასხუილუვასთან* იყვნენ და მან დაამარცხა *სუმმაქალი*, *უხაციითის* ვაჟი და გაანადგურა იგი. და როდესაც [მასხუილუვამ, *სუმმაქალი*, *უხაციითის* ვაჟი დაამარცხა, უკან გაედევნა და [ქვეყანა] *ხაფანუვას* თავს დაესხა. ... მირას ქვეყნიდან ნახევარი *მასხუი[ლუვას* გვერდზე იყო, მეორე ნახევარი კი მან დაამარცხა] და იგი *ხათის* ქვეყნის (ნაწილად) იქცა. (KUB 14.16 წინა მხარე II 1-25) ბრძოლა არ დაუწყია ... გადავწვი, წარტყვევნილები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი [ხელთ ვიგდე] და ხათუსაში

წავიყვანე. [შემდეგ დავბრუნდი ... ხათუსაში] უკან და ვინაიდან *ვალხუისამ* [ომი დამიწყო], გავემურე *ვალხუისაში* და *ვალხუისას* [თავს დავესხი. და *ვალხუისაში*] დავბანაკდი და მისი მარცვლეული [გავანადგურე. ხოლო სანამ] *ვალხუისაში* ვიყავი და მის მარცვლეულს ვანადგურებდი, *ქსქას* მტერი ჩემსკენ გამოემურა... დახმარებასთან ერთად და *ქუცასთარინა* [დაიკავა. ხოლო როდესაც მე] მივდიოდი, ზურგიდან დამეწია. ხოლო როდესაც შევნიშნე, შემო[ვბრუნდი] და შევებრძოლე. [და ღვთაებები დამეხმარენ:] ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, *ქ. არინას* ამინდის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, [*ქ. ხათის* ამინდის ღვთაება, *ქ. ხათის ქალი*, ლაშქრის ამინდის ღვთაება, ძლიერი ამინდის ღვთაება, ველის *იშთარი*. [...]] მაშინ დავამარცხე მტერი და განვგმირე იგი. და მტერი შევიპყარი და *ქ. ანცილიაში* გავქუსლე. ხოლო ყველა ქვეყანა, რომელიც [ჩემი მტერი იყო, დავამარცხე ... [მეორედ], და ისინი რეგულარულად მაწვდიდნენ ჯარს. ხოლო როდესაც ეს ქვეყნები დავამარცხე და ქვეშევრდომებად გავიხადე, [იმავე წელს *არ/ცავაში* გავემურე. და როდესაც მდ. *სეხირიას* (KUB 14.15 წინა მხარე II 2-16) მივაღექი, ამინდის ღვთაებამ თავისი ღვთაებრივი ძალა აჩვენა და [ელვა] გამოუშვა. და მას თვალი გააყოლა ხათის ქვეყანამ, *არცავას* ქვეყანამ კი მას [პირიქით] შეხედა. ელვამ გასწია და *აფასას*, *უხაციითის* ქალაქს მიაღწია და *უხაციითისაც* მიაღწია. და მას ცუდი დაავადება შეეყარა და მუხლი აუკანკალდა. ხოლო როდესაც მე, ჩემმა მზემ, ლაშქარი დავმარი და როდესაც *ქ. სალაფას* მივაღწიე, რადგანაც მე, *შარიქუმუსს*, ჩემს ძმას *ქარგამიშის* მეფეს მივწერე, ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი *ქ. სალაფაში* უკან გამომყვა და *ქ. სალაფაში* შევებრძოლე მას. შემდეგ გავწიე *ქ. არცავასკენ* და როდესაც *ქ. აურას* მივაღწიე, მოვიდა ჩემთან *მასხუილუვა*, ... და მე მას გამოვკითხე და [მან მითხრა:] „*უხაციითის* ღვთაების ელვა მოხვდა და [ცუდი დაავა]დება დაემართა. [და მუხლი აუთრთოლდა.] და როდესაც [... ..] ადრე [...]] (KUB 14.15 წინა მხარე II 38-42) ლაშქრის ბანაკი (KUB 14.15 უკანა მხარე III 24-52) და ... ჩემმა ძმამ ... სული დაიწყნარა ... როდესაც ლაშქარი [გამექცა, მივწერე *შარიქუმუსს*:] „ლაშქარი რომელიც გამექცა, *ხურსანასას*, *სურუთას*, *ათარიმას* ლაშქრები, აქ მოვიდნენ. და როდესაც ...] დაიყვნენ. ნახევარი *არინანდას* მთებში (წავიდა) ზემოთ - *ხურსანასას*, *ათარიმასა* და *სურუთას* ლაშქრები კი - ქვემოთ. *ფურანთას* ნახევარიც ზემოთაა; *ხურსანასას*, *ათარიმასა* და *სურუთას* ლაშქრები კი - ქვემოთ“. და რადგანაც ლაშქრები გამექცნენ, მთებში გამაგრდნენ. მაშინ *შარი-ქუმუქმა*, *ქარგამიშის* მეფემ, ჩემმა ძმამ, სარდალს უბრძანა: „რადგანაც ლაშქრები გაიქცნენ და მთებში გამაგრდნენ. წელი დაპატარავდა! მოდით! ერთ ნაწილს გარს შემოვერტყმებით და დავამარცხებთ!“ მაშინ გავწიე *არინანდას* მთაზე. ეს მთა კი ძალიან ციცაბოა, ზღვაში ჩადის, მაღალია და მიუსავალი, კლდოვანი და ცხენით ასვლა შეუძლებელია. ლაშქარი კი იქ იმყოფებოდა და ფეხოსანი ლაშქარი ზემოთ იყო გამაგრებული. და ვინაიდან ცხენით ასვლა შეუძლებელი იყო, მე ჩემმა მზემ, ჩემი ლაშქრის წინაზე, ფეხით გავწიე *არინანდას* მთაზე. და ლაშქარი ვამიმშილე და მოვაწყურე. და როდესაც შიმშილმა და წყურვილმა ძალიან შეაწუხათ, გამოვიდა ლაშქარი და ფეხებში ჩამივარდა: „ჩვენო ბატონო! არ გავანადგურო! აგვიყვანე ქვეშევრდომებად და ხათუსაში წავიყვანე!“ და როდესაც ლაშქარი ფეხებში ჩამივარდა, *ქ. არინანდას* მთიდან ჩამოვიყვანე ლაშქარი. და მე მარტომ წამოვიყვანე ჩემს სახლში 15 000 ჯარისკაცი. ხოლო რაც შეეხება ფეხოსან და ცხენოსან ლაშქარს, *სარიქუვა-ხალხს*, რომლებიც *ქ. ხათუსაში* წამოვიყვანეს, თვლა არ ჰქონდათ. (KUB 14.15 უკანა მხარე III B 23-43) და როდესაც *არინანდას* მთიდან

ლაშქარი ჩამოვიყვანე და ქ. *ხათუსაში* გავგზავნე, გავემურე მე, ჩემმა მზემ, *ფურანდასკენ*, ლაშქრის უკან. ხოლო როდესაც (*ფურანდას*) მივალწიე, *ფურანდას* ხალხს მივწერე: „თქვენ მამაჩემის ქვეშევრდომები იყავით. და [მამაჩემმა] აგიყვანათ და *უხა-ცითის* გადაგვით ქვეშევრდომებად. [ის კი *ახიავას* მეფეს მიემხრო] და ომი გამომიციხადა. [თქვენ კი] ისევ ჩემს მხარეს უნდა დადგეთ! და *უხაცითის* მხარე არ დაიჭიროთ! [და] ჩემი ქვეშევრდომები, *ხურსანასას*, *სურუდას*, *ათარიმას* ლაშქრები [გამომიგზავნეთ!]“ მათი კი ასე მომწერეს: ... ჩვენ. შენი ქვეშევრდომები, რომლებიც ჩვენთან მოვიდნენ, მათ უკან არ გამოგიგზავნით. „როდესაც იგი ზღვაში... და მის უკან .. გამოგიგზავნით. დავიტოვებთ. მე [კი ...] (KUB 14.16 უკანა მხარე III B 38-43) და რადგანაც სიცივემ [დაიჭირა], მივედი [მდ. *ასთარფასთან* უკან] და მდ. *ასთარფასთან* გამაგრებული ბანაკი დავეცი. უხაცითი კი, ... რომელიც ავადობდა, გარდაიცვალა. მისი მეუღლემ კი მას ... *სუმა-ქალ* ...

4 წელი (KUB 14.15 უკანა მხარე IV 14-54)

მანაფა-დათამ კი, რომელმაც თავისი ძმა თავისი ქვეყნიდან გააძევა და რომელსაც შემდეგ მე *ქარქისელები* ვაჩუქე, *მანაფა-დათა* ჩემს მხარეს არ დადგა. და როდესაც *უხაცითიმ* ჩემთან [ომი] დაიწყო, იგი *უხაცითის* შეეკრა და მას შეუერთდა. მაშინ მე, ჩემმა მზემ, გავწიე [მდ. *სეხასკენ*]. ხოლო როდესაც *მანაფა-დათამ*, *მუვაცითის* ვაჟმა, ჩემს შესახებ შეიტყო: „მზე მოდის!“, მაცნე გამომიგზავნა და ასე მომწერა: [„ჩემო ბატონო, არ მოკლა; ქვეშევრდომად ამიყვანე! ხოლო იმ ხალხს, რომლებიც ჩემთან მოვიდნენ], ჩემს ბატონს გავუგზავნი!“. მე კი შემდეგ ვუპასუხე მას: „პირველ რიგში, როდესაც შენ ჩემმა ძმამ შენი ქვეყნიდან გააძევა, მე შენ *ქარქისელები* შემოგთავაზე და *ქარქისელები* გიძღვენი. ამის მიუხედავად, შენ ჩემს მხარეს არ გადმოხვედი; *უხაცითის*, ჩემი მტრის მხარე დაიჭირე. და ეხლა მე შენ ქვეშევრდომად უნდა გაგიხადო?“ ამიტომ წავედი მის წინააღმდეგ და გავანადგურე. მაშინ დედამისი გამომიგზავნა. და იგი მოვიდა და ფეხებში ჩამივარდა: „ჩვენო ბატონო, არ გაგვანადგურო! ჩვენო ბატონო, აგიყვანე ქვეშევრდომებად!“ და რადგანაც ჩემთან ქალი მოვიდა და ფეხებში ჩამივარდა, შევიბრალე ქალი და არ წავედი მდ. *სეხას* ქვეყნის (გასანადგურებლად). ხოლო *მანაფა-დათა* ქვეშევრდომად გავიხადე. შემდეგ დავბრუნდი *მირას* ქვეყანაში და მოვაწესრიგე *მირას* ქვეყანა. შემდეგ ავაშენე *არსანი*, *სარავა* და *იმფას* ქალაქები და გავამაგრე ისინი და ლაშქარი დავაბანაკე. *ხაფანუვამიც* დავაბანაკე ლაშქარი. *მირაში მასხუილუვა* დავსვი სამართავად და ასე ვუთხარი *მასხუილუვას*: „შენ, *მასხუილუვა*, მამაჩემთან ლტოლვილად მოხვედი; და მამაჩემმა აგიყვანა და სიძედ გაგიხადა და თავისი ქალიშვილი, მუვათი, ცოლად გამოგაყოლა. მაგრამ მერე შენზე ვეღარ იზრუნა და შენი მტრები ვერ დაამარცხა შენს გამო. მაგრამ მე ვიზრუნე შენზე და შენ მტრები დაგიმარცხე. შემდეგ მე ქალაქები ავაშენე და გავამაგრე და ლაშქარი დავაყენე იქ. ხოლო შენ ქ. *მირაში* გაგაბატონე“. [შემდეგ] მას 600 კაცი მივეცი პირადი დაცვისთვის და ასე ვუ[თხარი]: „ვინაიდან ქ. *მირას* ხალხი ცუდები არიან, ეს 600 კაცი იყოს შენი პირადი მცველი. ქ. *მირას* ხალხთან არ უნდა შეიკრან და შენც მათ წინააღმდეგ არ წახვიდე“. [ხოლო როდესაც] ქ. *მირას* ქვეყანა მოვაწესრიგე, ... ქვეყანა ... ხოლო როდესაც ქ. აურაში მივალწიე, ... მე ... *მირას* ქვეყანა (და) *ქუვალაიას* ქვეყანა ... *სეხას* მდინარის ქვეყანა [და *აფავიას* ...] ქვეყანა

5 წელი (2 BoTU 53. წინა მხარე I 2-8)

მის წინააღმდეგ იგი ... და იგი *ასხარფაიას* მთიან ქვეყანაში ... და იგი იარაღით ?) ... მე იგი *ასხარფაიას* მთიან ქვეყანაში ... *სარქაში* ... და მას ... შეიარაღებული ლაშქარი ...

6 წელი (დაკარგულია)

7 წელი (KUB 19.31 წინა მხარე II 1-14)

... ეხლა კი ... მოდიან ... გახსნეს ... *ქარგამიშისკენ* წავიდა იგი ... წავიდა ... წავიდა. როგორც მან თქვენ ... მეც უკან ... ჩემმა მზემ ამის ... ხელშეკრულება ... როდესაც *ეგვიპტის* ქვეყნის მეფემ ... და როდესაც მე ... *ეგვიპტის* ქვეყნის მეფემ ... მე უკან მივცემ, სხვას კი არ მივცემ. ... ჩემი მზის წინააღმდეგ ... ლაშქარი ... რომელიც ... არ ... და იგი ... როდესაც ... -ში ...-ში ... ეს... ... (KUB 14.17 წინა მხარე II 1-39 + KBo 50.30 წინა მხარე II + KBo 50.29²⁶) „... ქარგ[ამიში? ...] *ნუ[ხასელი? ...]*, რომელიც მას, ვიყავით და შენ [...] ჩვენ“. ეს საქმე, რომელსაც იგი იმ[ეორებს]: „ტყვე, *ნუხასელი* კაცი, რომელიც მე ასევე შევიპყარი, მისი გულისთვის, კვლავ დავუბრუნე თავის ცოლს (და) მის ვაჟებს“. მას თავისი ცოლი და ვაჟები თავად უნდა წაეყვანა ქ. *ხათუსაში*. მაგრამ მან ამის შესახებ შემდეგი უთხრა მათ: „ჩემი მზე მოვა და ის წაგიყვანთ. პატიმრები არ შეთქმულან. ვინაიდან იგი წარტყვევნილი იყო, როგორც ჩანს, ტყვედ ჩავარდნა მისთვის სასურველიც კი იყო. თუ ასე არ იყო, მაშინ პატიმარზე როგორღა თქვა „ისინი ისევ ტყვედ ჩავარდებიანო?“ ხალხი დაწყევლილი იყო, ფიცი დაარღვიეს და ღვთაებებს დაუპირისპირდნენ და უნდა დაისაჯონ. ვცდილობდი *ნუხასის* მეფეების გადმოცემას და ამას ყოველთვის მათ სასიკეთოდ ვაკეთებდი... [ხოლო როდესაც *ნუხასის* ხალხმა ...] ომი დაიწყო, [როდესაც] *ეგვიპტის* ლაშქრის შესახებ ცნობა მოიტანეს: „მოდიან!“, *ეგვიპტის* ლაშქრის წინააღმდეგ წავედი; წინ კი *ქანთუცილი* გავგზავნე, ... [*ქარგამიშის* ქვეყანაში]. და იგი მივიდა *შარი-ქუმუხთან*, ჩემს ძმასთან, [*ქარგამიშიდან*? ხოლო ქანთუცილი ასე დავარიგე: რადგან *ნუხასის* [ხალხმა] ომი გამოაცხადა, [გაანადგურე ისინი! და თუკი [მათ] დასახმარებლად *ეგვიპტის* ლაშქარი მოვა, [მომწერე! და] მე [მოვალ] და მათი წინააღმდეგ ვიბრძოლებ“. ხოლო როდესაც ცილუნას მივაღწეე, კაცმა ცნობა მომიტანა: „*ეგვიპტის* ლაშქარი დამარცხებულია და შინ წავიდა!. და მეტი *ეგვიპტის* ლაშქარი აღარ მოსულა. [ხოლო *ფი[ხუნია]*, *ქასქელმა*, რომელიც *თიფიდან* იყო, სანამ მამაჩემი *ხურის* ქვეყნად იყო, [*ზემო ქვეყანა*] და *ისთითინა* თავდასხმებისგან შეაწუხა და შემდეგ *ცაცისაში* მოვიდა. და ხსენებული *ფიხუნია* მართავდა [არა ... მეფესავით]. *ქასქების* ქალაქი ... და ... მართავდა (KUB 19.30 წინა მხარე I 1-26) [და *ფიხუნია*...] და შენ *თიფიას* ქვეყანას [თავს დავესხი. და ყველა ღვთაება ჩემთან იდგა და [დავამარცხე] *თიფიას* მთელი ქვეყანა და გადავწვი], წარტყვევნილები, [მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი] წამოვრეკე [*ხათუსაში*]. [რადგანაც] *ფიხუნია* ჩემზე განრისხებული იყო, ადგა და წავიდა]. და როდესაც *თიფიას* ქვეყანა გადავაწვევინე, *ისთითინას* ქვეყანაში დავბრუნდი. ხოლო რადგანაც *ისთითინას* ქვეყანა ... *ფიხუნია*მ გაანადგურა და [გამაგრებული] ქალაქები, [როლებიც ხელთ იგდო], გადაწვა - როდესაც

²⁶ Miller J. L. (2007) 521-534.

ისტორიანს ქვეყანა ისევ ჩემი გახდა, *ქანუვარა*, ის... და გამაგრებული ქალაქები, რომლებიც [გადამწვარი იყო], ისევ ავაშენე და გავამაგრე და გარნიზონი ჩავაყენე. [როდესაც *ფიხუნია*სთან ურთიერთობა უფრო დაიძაბა, მეტი ვერავისთან მივიდა და [ჩემთან მოვიდა]. მოვიდა და ფეხებში ჩამივარდა ... *ფიხუნია*ც შევიპყარი და *ქ. ხათუსაში* წავიყვანე. ხოლო რადგან *ისტორიან* ზემოთ ... დაბანაკებული იყო, *შარიქუშუხი*, ჩემი ძმა, [*ქარგამიშის*] ქვეყნის მეფე წავიდა ...-*ცანდაში*. და ღვთაებები [მათან იყვნენ, და დაამარცხა] მან ქალაქი ...-*ანდა* [და] *თენთი*.... წარტყვევნილები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი [*ქ. ხათუსაში*] მოიყვანა. ხოლო მე, ჩემმა მზემ, *ისტორიან* ... *შარიქუშუქი* ... (KUB 14.17 უკანა მხარე III 1-25) ... მოვიდა ლაშქრით [*დანქუვას* ქვეყანაში და და]ესხა თვს. წარტყვევნილები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი *ქ. ხაიასაში* წაიყვანა. [როდესაც მე, ჩემმა მზემ ეს შევიტყვე], *ისტორიანს* ხალხისსაც შენთვის ბოროტება არ ჩაუდენია. შენ კი *დანქუვას* ქვეყანას თავს დაესხი, წარტყვევნილები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი *ქ. ხაიასაში* წაიყვანე.“ *ავის* ქვეყნის [ბატონმა] ასე მომწერა: [რაც შეეხება, რასაც შენ მე] მწერ - იმ ლაშქარს, რომელიც ჩემთან მოვიდა, [უკან არ გამოგიგზავნი]. ხოლო თუკი შენ მოითხოვ, ...“. მე კი ასე ვუპასუხე: „მე მოვედი და შენი ქვეყნის საზღვართან დავბანაკდი. და შენს ქვეყანას არ დავესხი თავს და წარტყვევნილები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი არ წამიყვანია. ხოლო შენ, [ჩემმა მზემ, ომი] გამომიცხადე და მოხვედი (და) *დანქუვას* ქვეყანას დაესხი თავს და ხალხისგან დააცარიელე. ღვთაებები ჩემს გვერდით დადგებიან [და ჩემს] სასიკეთოდ გადაწყვეტენ (ზედს).“ [რადგანაც ამ ბო]როტი სიტყვების თქმა დაიწყე, მის წინააღმდეგ [მტრობა] გამოვაცხადე და მის წინააღმდეგ დავიძარი. *ავის* ქვეყნის *ქ. ურა* პირველი სასაზღვრე ფრონტი იყო - და იგი ციცაბო ადგილას მდებარეობს - და ვინც ეს ფირფიტები ... წაიკითხავს, უნდა გაგზავნოს და დასახელებული *ქ. ურა* [ნახოს, როგორ ა]შენდა იგი. ხოლო როდესაც *ანიაბ*, *ავის* ქვეყნის ბატონმა ...

8 წელი (2 BoTU 56 წინა მხარე II 1-13)

... ქვეყანაში ... იქ. წავიდა ... და მივიდა ... და ასევე ... გარს შემოვეტყვი და [გადავაწვევინე. და ღვთაებები ჩემთან იყვნენ: *ქ. არინას* მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი], *ქ. ხათის* ამინდის ღვთაება, *ხათის ქალი*, ბანაკის ამინდის ღვთაება, ძლიერი ამინდის ღვთაება და ველის *იშთარი*. მაშინ დავამარცხე ... [წარტყვევნილები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი წამოვიყვანე [და *ქ. ხათუსაში* წავრეკე]. (2 BoTU 56 უკანა მხარე III 1-7) *მანაფა-დათამ*... ცოლი ... კაცი ... და იგი ... და მე ... შემდეგნაირად (2 BoTU 56 უკანა მხარე IV 1-12) შეიპყარი! ... [*შარიქუშუხი*], ჩემი ძმა, გავგზავნე. ... უკან დავბრუნდი. [და-ში] დავბანაკდი. ... *ხათუსას* ... ჩემს წინ (?) ... ფეხოსანი (და) ცხენოსანი ლაშქარი მას მე ... ხოლო როდესაც [*ხა/იასელეზმა*] [ცნობა შეიტყვევს: „ჩემმა მზემ, მოდის!“], გამოაგზავნეს მაცნე [და შემომითვალეს“] „ვინაიდან ჩვენი ბატონი ... შეეშინდათ ... (KUB 19.30 უკანა მხარე IV 1-13) ... წადით ... [ტყვეები, რომლებიც როდესაც [ჩავიგდეთ], უნდა დავამწკრივოთ და [ჩვენს] ბატონს წავუყვანოთ. და ვინც ჩვენთან მოვა, ბატონები ... მოვლენ და [*ქ. ხათის*] წარტყვევნილები, რომლებიც ჩვენთან მოვიდნენ, უნდა დავამწკრივოთ და წავიყვანოთ“. და როდესაც *ხაიასელმა* ასეთი რამე მომწერა [პასუხად], იმ დროისთვის სასწრაფოდ მიწევდა *ქ. ქუმანას ხეფათისთვის* დღესასწაულის გადახდა.

კოლოფონი: „მე-6 ფირფიტა მურსილის საქმენისა, [დიდი მეფისა. დაუსრულებელია].“

9 წელი (KUB 14.29 წინა მხარე I 1-31) [და ვინაიდან მე] მეუბნებით: *ხათის* წარტყვევნილებს გამოგიგზავნით ... მე ქ. *ხაიასას* ხალხის წინააღმდეგ არ წავედი ... *ხაიასას* ხალხმა კი [სიტყვა არ შეინახეს] და არ გამოაგზავნეს ქ. *ხათის* წარტყვევნილები. მაშინ მივწერე *ანიას*: [შენ არავის მიგზავნი, ქ. *ხაიასაში* გყავს ისინი და სხვებსაც იპყრობ“. [მან კი] *ხათუსაში* ასე მომწერა: „ქ. *ხათის* წარტყვევნილებს ვერ ჩავანაცვლებ *აცის* წარტყვევნილებით. თუკი ჩვენთან წარტყვევნილები მოვლენ, მათ ჩვენ არ დავაბრუნებთ“. და ასე, *ხაიასელეებმა* ჩემმა მზემ, არ გამომიგზავნეს ქ. *ხათის* წარტყვევნილები. და ... ააშენა ... გზა ... და ვინაიდან მე *თი..თი*-ში ვიყავი - [ხუდუფიანცა], მეფის ვაჟი, განაგებდა *ფალას* ქვეყანას, მას განემორა ქ. *ვასუმანა*. მაშინ გავგზავნე *ნუვანცა*, [დიდი მეღვინეთუხუცესი, ფეხოსანი] და ცხენოსანი ლაშქრით და იგი წავიდა *ხუდიფიანცას* საშველად. და ისინი გაემურენ ქ. *ვასუმანას* წინააღმდეგ და თავს დაესხნენ ქ. *ვასუმანას*. და ჩემი ღვთაებები იდგნენ მათთან და დაამარცხეს *ვასუმანა* და გადაწვევინეს იგი. წარტყვევნილები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი კი ხელთ იგდეს და ქ. *ხათუსაში* წამოიყვანეს. ხოლო ვინაიდან საჩქარო იყო *ქუმანას* *ხეფათის* დღესასწაულის (გადახდა), გავემურე *ქიცუვათნაში*. და როდესაც *ქიცუვათნას* მივალწიე, [მოვიდა *შარიქუმუხი*], ჩემი ძმა, *ქარგამიშის* მეფე, *ქიცუვათნაში*. წინააღმდეგ მოვიდა და ჩემთან იყო. ავად გახდა [ჩემი ძ]მა ... და გარდაიცვალა. (KBo IV 4 წინა მხარე I 6-46) და იგი [დაკრძალეს] და რაც გარდაცვლილის სულისთვის იყო საჭირო, ის გადაიხადეს მზის წინაშე. და რომ ღვთაების კაი ... შემემინდა. და ღვთაებათა დღესასწაულები ... სახლში საგზრუნდი და კი...-ში ვუბრძანე. ხოლო *ნუხასელმა* [ომი გამოუცხადა *არცია*], დაიკავა ... ხოლო როდესაც ... ბრძოლა ... [ეგვიპტის?] მეფეს ... სხვა მტერი ... *ხაიასელეებიც* ... ასე მტრები ... და *ისთითინას* ქვეყანა გაანადგურეს, *ქანუვარას* ქალაქს კი გარს შემოაერთყნენ ... ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქრით ... *ისთითინაში* მოვიდნენ და *ისთითინას* ქვეყანა [გაანადგურეს], ქალაქს გარს შემოერთყნენ. მე კი *ქუმანაში* ვიყავი დღესასწაულზე ... და არ ... და ვერ გადავწყვიტე, იქ წესრიგი უნდა დამემყარებინა თუ ... და მივედი (და) ასე დავადგინე: *ქალს* მივეცი ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი და გავაგზავნე *ნუხასიში*. და შემდეგნაირად დავარიგე: „რადგანაც *ნუხასელეები* მტრულად არიან განწყობილნი, წადი და გაანადგურე მათი მარცვლეული და გაანადგურე ისინი! და *ქალი* წავიდა და წაიყვანა ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი და გაანადგურა *ნუხასის* მარცვლეული და დაამარცხა. და რადგანაც *ნუხასის* მეფეებმა მამაჩემთან დადებული ფიცი დაარღვიეს, ღვთაებებმა თავიანთი ღვთაებრივი ძალა აჩვენეს ... არ ... (KBo IV 4 წინა მხარე II 1-80) [და აიღეს ის. და მათ მოუტანა] უცხო ??? [ღვთაებებმა ... დაუძახეს მათი საკუთარი ხორცი და სისხლი და *აითაქამა*, *ქინცას* მეფემ და *ნიგბაციითი*, რომელიც მისი პირმშო იყო, როგორც მან ნახა, რომ მას დაემატა? და მარცვლეული ისევ დაუცოტავდა, მაშინ *ნიგბაციითი* მოკლა *აითაქამა*, თავისი ძმა. ხოლო *ნიგბაციითი* და *ქინცას* ქვეყანა ჩემს მხარეს გადმოვიდა უკან და ქვეშემვრდომად გამიხდა. მაშინ ავიყვანე *ნიგბაციითი* ამის გამო ქვეშემვრდომად. რადგანაც მათ ფიცი გატეხეს, ასე ვუთხარი: ღვთაებებმა თქვენ [სამაგიერო] უნდა გადაგიხადონ. ვაჟმა უნდა მოკლას მამამისი. ხოლო ძმამ უნდა მოკლას თავისი ძმა და ამით [ხორცი და სისხლი] დაწყნარდება“. [ხოლო *ქალამ* ... და *ქინცასკენ* გასწია. რადგანაც ზემო ქვეყანაში *ხაიასას* ქვეყნის ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი მოვიდა და *ისთითინა* გააცამტვერა, ხოლო ქ.

ქანუვარას გარს შემოერთყენ - და რადგანაც მე *ნუვანცა*, დიდი მეღვინეთუხუცესი, ბანაკის ბატონი და ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი, ყველანი ზემო ქვეყანაში დავტოვე, მივწერე *ნუვანცას* [შემდეგი:] „ხედავ, *ხაიასელი* მტერი [ზემო ქვეყანაში] მოვიდა *ისტითინაში* და *ისტითინა* [გააცამტვერა], ქ. *ქანუვარას* კი გარს შემოერთყა. ხოლო ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი დასახმარებლად წაიყვანე, წადი *ქანუვარაში* და *ქანუვარადან* [მტერი] გამოაგდე!“ [*ნუვანცამ*, დიდმა მეღვინეთუხუცესმა], წაიყვანა ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი ქ. *ქანუვარას* საშველად. და როდესაც შებრძოლება დააპირა, ბატონებმა ასე ჰკითხეს: „[ჩიტებმა] და ღვიძლის ნიშნებმა არაფერი დაგიდგინეს?“ მაშინ *ნუვანცამ*, დიდმა მეღვინეთუხუცესმა, გამოაგზავნა მაცნე და მომწერა: „არ გამოჰკითხავ ჩიტების და წინასწარმეტყველ ქურუმებს? და ჩიტების და ღვიძლის ნიშნებით არ დამიდგენ? ... მომწერე“. და რადგანაც *ნუვანცამ*, დიდმა მეღვინეთუხუცესმა, ასე მომწერა, ... *ქიცუვათნაში* ... გამოვიძახე ... მივმართე. *ისტითინაში* დასახმარებლად რომ წავსულიყავი, *ქანუვარადან* [ხაიასელებს] გავყრიდი. [მაგრამ ამ დროს *ასურეთის* მეფემ] დაიპყრო *ქარგამიში* და მე რომ ამ მტრის წინააღმდეგ წავსულიყავი და დამემარცხებინა, როდესაც [*ასურელებმა?*] ეს შეიტყვეს, ასე ხომ იტყოდნენ: „მამამისმა *ქარგამიში* დაამარცხა და ... რომელი ძმაც მან *ქარგამიში* მეფედ დასვა, იგი არ წამოვიდა *ქარგამიშის* ქვეყანაში და არ მიხედა *ქარგამიშის* ქვეყანას. და იგი სხვა ქვეყანაში წავიდა? და როდესაც ეს ამბავი ჩემს გონებაში (გავიაზრე), *ნუვანცასთვის*, დიდი მეღვინეთუხუცესისთვის, ჩიტისა და ღვიძლის ნიშნები გამოვკითხე და ჩიტისა და ღვიძლის ნიშნებით დავადგინე. და *ნუვანცას*, დიდი მეღვინეთუხუცესს, გავუგზავნე ნანაცითი, მეფის ძე და მივწერე: „ხედავ, ჩიტისა და ღვიძლის ნიშნები დავადგინე და შენ ჩიტებისა და ღვიძლის ნიშნებით დავადგინე. იმოქმედე! ეს *ხაიასელი* მტერი ამინდის ღვთაებამ, ჩემმა ბატონმა, მოგცა, და შენ მას დაამარცხებ!“ და როდესაც *ნანაცითი*, მეფის ძე, *ნუვანცას*, დიდ მეღვინეთუხუცესს გავუგზავნე, გავემურე *ქარგამიში*. და როდესაც *ასათას* მივალწიე, ქ. *ასათაში* შევედი და ციხე-სიამგრე ავაგე და გავამაგრე. და რომელი ლაშქარიც *ქალმა ნუხასიში* წაიყვანა მარცვლეულის გასანადგურებლად. რადგან *ნიგ-ბაციითი*, *ქინცას* მეფემ, *აითაქამა*, თავისი მამა, მოკლა, ჩემთან მოვიდნენ და მე ისინი ქვეშევრდომებად ვქმენ. ხოლო როდესაც *ასათადან* *ქარგამიშის* გზას დავადექი, *ნანაცითი*, მეფის ძე, რომელიც *ნუვანცას*, დიდ მეღვინეთუხუცესს გავუგზავნე, გზად შემომხვდა და ასე მითხრა: „ვინაიდან *ქანუვარა*, *ხაიასელ* მტერს გარს შემოერთყა, *ნუვანცა*, დიდი მეღვინეთუხუცესი, წავიდა და *ქანუვარაში* უკნიდან შეხვდა. 10 000 ფეხოსანი და 700 ეტლოსანი საბრძოლოდ გაემზადა და *ნუვანცამ* დაამარცხა იგი. „და დიდი რაოდენობით დახოცილები და შეპყრობილები იყვნენ“. და როგორც ამინდის ღვთაებამ, ჩემმა ბატონმა, თავისი ღვთაებრივი ძალა ... დაამტკიცა - და სანამ *ნუვანცა*, დიდი მეღვინეთუხუცესი და ფეხოსანი და ეტლოსანი ლაშქარი *სალითის* მთიან ქვეყანაში ... *ქასქების* ქალაქი *თი...* იყო ... (KBo IV 4 უკანა მხარე III 11-56) მე კი ... და მე *ქარგამიშის* ქვეყანა მოვაწესრიგე, შემდეგ ...-სარმა, *შარი-ქუშუხის* ვაჟი, *ქარგამიში* მეფედ დავსვი და *ქარგამიშის* ქვეყანა მას დავაფიცე. ხოლო *რიმი-შარი* კი, თელიფინუს ვაჟი, *ხალფას* ქვეყანაში დავსვი მეფედ და *ხალფას* ქვეყანა დავაფიცე. და როდესაც *ქარგამიშის* ქვეყანა მოვაწესრიგე, *ქარგამიშიდან* ზემოთ წამოვედი და *თეგარამას* ქვეყნად მივედი. და როდესაც *თეგარამას* მივალწიე, მოვიდნენ *ნუვანცა*, დიდი მეღვინეთუხუცესი და ყველა

ბატონი *თეგარამაში* და შემხვდნენ. მე კიდევ *ხაიასაში* ვაპირებდი წასვლას, მაგრამ წელი მთავრდებოდა. და ბატონებმა მითხრეს: „წელი მთავრდება; არ წახვიდე, ჩვენო ბატონო, *ხაიასაში*“. და მეც არ წავედი *ხაიასაში*; წავედი *ხარანაში*. და ჩემი ლაშქარი შემომხვდა *ხარანაში* და იქ შეუერთდა ლაშქარს. და ვინაიდან მე *იახრესა* და *ფიგაინარესას* ქვეყნები მტრობდნენ, გავეშურე *იახრესაში*. და დღეები ღამეებად ვაქციე. და ლაშქარი ავაჩქარე; და მე, დიდი მეფე, ფეხოსან და ეტლოსან ლაშქართან ერთად უჩუმრად მივდიოდი. ამინდის ღვთაებამ, ჩემმა ბატონმა, მოიხმო ჩემი ბატონი *ხასამილი* ჩემთვის და მან დამმალა და ვერავინ დამინახა. და ასე წავედი და თავს დავესხი *ფიგაინარესას*, სანამ მას ეძინა. ხელთ ვიგდე წარტყვევნილები, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი, *ფიგაინარესას* ქვეყანა კი გადავაწვევინე. როდესაც გათენდა, *იახრესაში* დავბრუნდი და გადავწვი *იახრესას* ქალაქი. როდესაც გათენდა, გავნაგრძე გზა *თაფთინასკენ*. როდესაც ქ. *თარქუმას* მივუახლოვდი, გადავწვი ქ. *თარქუმ*. მაშინ თაფთინელები, ხურსამელები (და) ფიქურციელები მოვიდნენ შემთან, ფეხებში ჩამივარდნენ და ასე მითხრეს: „ჩვენო ბატონო! არ გავგანადგურო! და ქვეშევრდომებად გვაქციე! და ჩვენ ჯარისკაცებად და ეტლოსან ლაშქრად გვაქციე! და ჩვენ შენთან ერთად საბრძოლოდ წამოვალთ ხოლმე! მაშინ ისინი ვაქციე ქვეშევრდომებად და ჯარისკაცებად და ეტლოსან ლაშქრად. მეორე დილით კი გზა გავნაგრძე და გადავწვი ქ. *ხაისეხლა* და ქ. *ქანთისისა*. შემდეგ ქ. *ხაქვისაში* უკან დავბრუნდი და ქ. *ხათუსაში* დავბრუნდი და ქ. *ანქუვაში* გამოვიზამთრე.

10 წელი (KBo IV 4 უკანა მხარე IV 57-72; 2-41)

ხოლო როდესაც გაზაფხულდა, მეორჯერ ავიღე გზა *აცის* ქვეყანაში. და ქ. *ინგალავაში* შევეჯახე ფეხოსან და ცხენოსან ლაშქარს. და რადგანაც *აცის* ხალხი, მე, ჩემმა მზემ, მანამდე დავამარცხე, *ნუვანცამაც*, დიდმა მეღვინეთუხუცესმა, ისინი ქანუვარასთან დაამარცხა, ვერ გაბედეს ჩემთან დღისით შებრძოლება და გადადეს, რათა ღამით შემბრძოლებოდნენ: „ღამით შე[ვებრძოლოთ!]“. და როდესაც მე, ჩემმა მზემ, ცნობა მივიღე: „ქ. *აცის* ხალხი დროს წელავს? რომ ღამით [შენს] ლაშქარს თავს დაესხას“, მაშინ მე, ჩემმა მზემ, ლაშქარი ისე მოვაწყვე, როგორც დღისით სალაშქროდ იყვნენ მზად, ღამითაც თავდასხმისთვის იყვნენ მზად. ხოლო როდესაც ქ. *აცის* ხალხმა ასეთ მდგომარეობაში ნახეს [მზადყოფნაში ლაშქარი] ... ასე ... ვისურვე ... და [გავეშურე საბრძოლველად] ქ. *არიფსას* წინააღმდეგ. დასახელებული ქ. *არიფსა* კი ზღვაზეა. რაც შეეხება მის მოსახლეობას, კლდოვან მთებზე არიან; შორს არიან ძალიან ზემოთ. და რადგანაც მთელი ქვეყანა ასული იყო, მხოლოდ ჯარი იდგა? და მათ შევებრძოლე მე, მზე. და ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, ქ. *არინას* მზის ღვთაება, ჩემი ქალბატონი, ქ. *ხათის* ამინდის ღვთაება, ქ. *ხათის ქალი*, ბრძოლის ბანაკის ამინდის ღვთაება, ველის *იშთარი* და ყველა ღვთაება ჩემთან იყო და არც ერთ დიდებულს არ დაუკარგავს სიცოცხლე. და მე ავიღე ქ. *არიფსა* ბრძოლით. და მთლიანად ქ. *ხათუსას* გადავეცი გასადარცვად. და ფეხოსანმა და ეტლოსანმა ლაშქარმა ციხის მარაგები იპოვნეს, დიდი რაოდენობით წარტყვევნილებთან, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელთან ერთად. და მე, ჩემმა მზემ, იმ დღეს ქ. *არიფსაში* დავრჩი. მეორე დღეს კი გავეშურე ქ. *დუქამას* წინააღმდეგ საბრძოლველად. ხოლო როდესაც დუქამელებმა დამინახეს, მოვიდნენ ჩემს წინაშე და ფეხებში ჩამივარდნენ და ასე მითხრეს: „ჩვენო ბატონო! ქ. *ხათუსა* ქ. *არიფსასავით* ნუ დავგარბევს! დავგამწკრივე, ჩვენო ბატონო და

წავიყვანე *ქ. ხათუსაში* და გაგვხადე შენს ფეხოსან და ცხენოსან ლაშქრად!“ მაშინ მე, ჩემმა მზემ, *ქ. დუქამას* დავანებე (თავი) და არ დავარბევინე და ... მწკრივებად. *ქ. დუქამას* ლაშქარი - 3000 კაცი?? - სამეფო სასახლეში წავიყვანე და ფეხოსან და ეტლოსან ლაშქრად ვაქციე. ხოლო როდესაც *ავის* ხალხმა დაინახა, რომ მე გამაგრებული ქალაქები ბრძოლით ავიღე, *აციელებს*, რომლებსაც გამაგრებული ქალაქები მთიან კლდეებში ეკავათ, შეეშინდათ ჩემი. მაშინ მოვიდნენ ჩემთან ქვეყნის უზუცესები და ფეხებში ჩამივარდნენ და ასე მითხრეს: „ჩვენო ბატონო, არ გაგვანადგურო არანაირად! აგვიყვანე, ჩვენო ბატონო, ქვეშევრდომებად და ჩვენ (ჩვენს) ფეხოსან და ეტლოსან ლაშქარს რეგულარულად მოგაწვდით. ხათის ჯარსაც, რომელიც ჩვენთან დგას, გამოგიგზავნით“. მაშინ მე, ჩემმა მზემ, არ გაგვანადგურე ისინი. და ისინი ქვეშევრდომებად ვაქციე. და რადგანაც წელი მთავრდებოდა, *ავის* ქვეყანა არ მომიწესრიგებია, მაგრამ *ავის* ხალხი დავიცავი. შემდეგ წამოვედი *ქ. ხათუსაში* და *ქ. ხათუსაში* გამოვიგზავნით. და აღვნიშნე 6-წლის დღესასწაული გადავიხადე.

11 წელი (KBo IV 4 უკანა მხარე IV 42-55)

ხოლო როდესაც გაზაფხულდა, გავემურე *ავის* მოსაწესრიგებლად. ხოლო როდესაც *აციელებმა* შეიტყვეს: „მზე მოდის!“, გამოაგზავნეს *აციელებმა ხალიმანელი მუთი* და ასე შემომითვალეს: „ვინაიდან შენ, ჩვენო ბატონო, ადრე გაგვანადგურე, აღარ მოხვიდე, ჩვენო ბატონო, კიდევ! და აგვიყვანე, ჩვენო ბატონო, ქვეშევრდომად! და ჩვენ ფეხოსან და ეტლოსან ლაშქარს რეგულარულად მოგაწვდით. *ხათის* ლაშქარიც კი, რომელიც ჩვენთან დგას, გამოგიგზავნით“. მართლაც, დამიბრუნეს 1000 კაციანი ხათის ლაშქარი. და რადგანაც *მუთი ხალიმანელი*, ამისთვის გამომიგზავნეს და *ქ. ხათის* ლაშქარიც დამიბრუნეს, მე, ჩემმა მზემ, აღარ გავწიე *ქ. ავის* ქვეყნის წინააღმდეგ და ისინი ქვეშევრდომებად ვაქციე. და მე, ჩემმა მზემ ამ წელს აღარსად არ გავწიე საბრძოლველად და გავემურე *ქ. ანქუვაში* და გამოვიგზავნით *ქ. ანქუვაში*.

12 წელი (KBo IV 4 უკანა მხარე IV 56-69)

ხოლო როდესაც გაზაფხულდა - და ვინაიდან *მასხუილუვა, არცაველი*, მამაჩემთან ლტოლვილად მოვიდა, მამაჩემმა იგი სიძედ გაიხადა და მას *მუვათი*, თავისი ქალიშვილი, ჩემი და, მიათხოვა. შემდეგ მან იგი და ჩვენ, თავისი ვაჟები, დაგვაფიცა და ჩვენ შეფიცულ ქვეშევრდომად აქცია. ვინაიდან [მამაჩემი] *ხურის* ქვეყნად იყო და შეაგვიანდა და დიდხანს დარჩა, შესაბამისად, არ შეეძლო მასზე ზრუნვა და არ წავიდა უკან და არ დაამარცხა თავისი მტერი. მამამისი ქვეყანა კი [მან?? მას] არ მისცა მამამისის ადგილას. [მამაჩემი კი] ღვთაება გახდა. [ხოლო როდესაც მამაჩემის ტახტზე] დავჯექი, *მასხუილუვა*, რომელიც [მამაჩემის სიძე იყო], და *მუვათი* [თავისი ქალიშვილი, ჩემი და, ცოლად მისცა] და მისი შეფიცული ქვეშევრდომი იყო, მასზე მე ვიზრუნე]. (KUB XIV 24 2-24) ... და გაილაშქრა *ფითასას* ქვეყანამ და [ხარასთას, ჩემი მსახურების??] ხალხმა, ჩემს წინააღმდეგ და მტრობა გამომიცხადეს. და განმიდგა? [შეიპყართ და მომგვართ! ხოლო თუ არ შეიპყრობთ და არ მომგვრით], მოვალ და თქვენს [ქვეყანასთან ერთად გაგვანადგურებ“. და როდესაც ასე მივწერე მათ, მირას დიდებულები მოვიდნენ და ასე მითხრეს: [„*მასხუილუვა*, რომელიც ჩვენი ბატონი იყო, შენს წინააღმდეგ დადგა. და რადგანაც [იგი

